# საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge






იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ფრთხილობით და ჭკუებით ბერთის გაცვანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.


ოთხშაბათი, 20 აპრილი. 2016 წ. №73 (7965), გამოცემის 98-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.


რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავთ, სხვაგან ვერ ნახავთ!

## „ცრუსთავი-2“-ის მორიგი გესლწთხევა

## 2. დაარიგა თუ არა აფხაზეთის ჯანდაცვის მინისტრმა ვადაგადაცილებული წამლები?





მავნებლური და მტრული გამოხდომების ნაზავი

რა უბედურებას არ უნდა ელოდო პოლიტიკურად ვადაგასული ნაციონალებისგან!

4



## კრახი – სადისტური პოლიტიკის ფინალი



ბოკერია და სააკაშვილი ნაცმოძრაობის საარჩევნო სიის გამო ბოლომდე გასივდნენ? 3

## უილიამ ლაჰიუ: უნიკალური შემთხვევა – საქართველო გახდება ნატოს წევრი

**ამის შესახებ საქართველოში ნატოს სამოკავშირეო ოფისის ხელმძღვანელმა უილიამ ლაჰიუმ კონფერენციაზე „საქართველოს ევროპული გზა“ სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.**



მისივე თქმით, MAP-ი წინა ხელისუფლების დროს პოლიტიზებულ საკითხად იქცა, რის გამოც, ნატოს წევრ 28 ქვეყანას საქართველოსთვის MAP-ის მინიჭებაზე კონსენსუსის მიღწევა გაუჭირდება.

ლაჰიუს განცხადებით, ნატოში ინტეგრაციის მთავარი ინსტრუმენტი საქართველოში რეფორმების გატარებაა, რაც წარმატებით მიმდინარეობს.

**„ბუქარესტის სამიტიდან გამომდინარე სულ ისმის, რომ საქართველო გახდება ნატოს წევრი, თუმცა მთავარი კითხვა აქ არის, როდის? – ეს გახლავთ თემა პოლიტიკის და ტექნიკური საკითხების კომბინაციისა, რომელიც ნატოს მოკავშირეებს აწუხებთ. მოკავშირეები ყურადღებით ადევნებენ თვალყურს რეფორმების უწყვეტობას. მათ აინტერესებთ საქართველოს პოზიცია. ჩვენ ასევე ყველაზე მეტად ვაკვირდებით უსაფრთხოების პოზიციებს. რა თქმა უნდა, ნატოს წევრობა საბოლოოდ უზრუნველყოფს საქართველოს უსაფრთხოებას მხოლოდ ერთი გზით – თავდასხმის შემთხვევაში ყველა სხვა წევრი მხარდასაჭერად უნდა გამოეშუროს“,** – განაცხადა უილიამ ლაჰიუმ.

◎ ლექსი – იერიშზე!

### იუზა ჩაკვეტაძე



## ამერს და იმერს

ყველას მოგმართავთ, უცნობს და ნაცნობს,
ლიხს აქეთ-იქით, ამერს და იმერს,
ცხოვრება მიდის კარგს არას გვამცნობს,
გაღმელი მოდის, ქვეყანას გვირევს.

მთვარე ღრუბლებში ღამეს ვერ ათევს,
დამონება სურს სატანას ხალხის,
ტახტი მოუნდა ცრუს, ლაფში ნათრევს,
სიმართლეს ზურგში ცივ ტყვიას ახლის.

სისხლმა იფეთქა, დაჭრილი გმინავს,
ვერსად ვიპოვე, დავეძებ მკურნალს,
ყველა თაღლითი აქ იდებს ბინას,
წუთისოფელი გვიმატებს ურვას.

შურმა აავსო გულები გესლით
და გამძვინვარდა ძმებს შორის შუღლი,
ჩვენი გოდება არავის ესმის,
აპეურები გვახრჩობენ უღლის...

ისევ აემღვრა ტალღა ალაზანს,
დარაჯად უდგას მგელი ცხვრის ფარას,
მომავლის კარი მტრობამ ჩარაზა,
ცის გუმბათს შავი ღრუბელი ფარავს.

ამოიძირკვა იმედის ფესვი,
აისის ნახვის ოცნება ქრება,
ხვანჭკარით სავსე ფიალა შევსვი,
ვერ მომიტანა ღვინის სმამ შვება.

სევდამ დამჯაბნა და ცრემლი გაშრა,
მეტ სივაგლახეს ვერავინ შეგვყრის,
ნუ დავაჟანგებთ, ავლესოთ დაშნა,
უნდა ვიპოვოთ საშველი ქვეყნის...

თუ გსურთ ცხოვრება ლაღად, ლამაზად,
ასე დაგვმოძღვრა, რომ შეგვქმნა ღმერთმა,
როცა ძმებს ლოცვა, რწმენა დაგრაზმავთ,
მომავლის ნათელს იხილავთ ერთად.

დრო მოვა, ვაზი კვირტებს კვლავ გაშლის,
მზის სხივი მადლით აავსებს მტევანს,
ფიქრს ვერ ვაჩერებ, აჭრა სურს ცაში,
ვერ გაექცევა მომხდური მდევარს.

ვრცელი ყოფილა ფიქრთა სამყარო,
მწამს, რომ ქართველი ისევ იმღერებს,
სიკეთე ვთესოთ, გულით ვატაროთ,
ერთად განვდევნოთ შუღლის სიბნელე.

**P. S.**
მართალი გმინავს, ცრუ კი იცინის,
გაღმელებს ვხვდებით კუდის ქიცინით.

შოთა ზოიძე

## წერილები მაგნოლიების ქალაქიდან

- ყოჩალი ფაშის ამბავი
- თინათინის „კერასინი“ და გაბრაზებული კარასინი
- კოალიციიდან ეკლექტური პარტიები კი არა – „ქართული ოცნება“ გაიდა

7



## საქართველოს პრეზიდენტს საფრანგეთში ელიან

**საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი და პირველი ლედი მაკა ჩიჩუა ოფიციალური ვიზიტით საფრანგეთს დღეს ეწვევიან.**

გიორგი მარგველაშვილი საფრანგეთის პრეზიდენტს ელისეის სასახლეში ფრანსუა ოლანდს შეხვდება. საქართველოს პრეზიდენტის პატივსაცემად პარიზში, ინვალიდების ისტორიულ სასახლეში დახვედრის ოფიციალური ცერემონია გაიმართება.



ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში, შეხვედრები შედგება ასევე, საფრანგეთის სენატის თავმჯდომარე ჟერარდ ლარშერთან, „იუნესკოს“ გენერალურ დირექტორთან ირინა ბოკოვასთან, გიორგი მარგველაშვილი საერთაშორისო ურთიერთობათა ინსტიტუტში IFRI საექსპერტო წრეების წარმომადგენლებს შეხვდება და შეკითხვებს უპასუხებს.

პრეზიდენტის ადმინისტრაციის ინფორმაციით, ვიზიტის მიზანი საფრანგეთსა და საქართველოს შორის ორმხრივი ურთიერთობის გაღრმავებაა.

### ჟან-კლოდ იუნკერი:

## საქართველოს ვიზალიბერალიზაციასთან დაკავშირებით ახალი პირობები არ ექნება



**დღეს კიდევ ერთხელ შემიძლია დავარწმუნო საქართველოს პრემიერ-მინისტრი ევროკომისიის მხრიდან ვიზალიბერალიზაციის საკანონმდებლო ინიციატივას მხარდაჭერასთან დაკავშირებით. ამის შესახებ ჟან-კლოდ იუნკერმა ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის პლენარულ სესიაზე გამოსვლისას განაცხადა.**

ევროკომისიის პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ საქართველოს ვიზალიბერალიზაციასთან დაკავშირებით ახალი პირობები არ ექნება. ამასთან, ჟან-კლოდ იუნკერი მიიჩნევს, რომ ვიზალიბერალიზაციის შესახებ საკანონმდებლო ინიციატივა ქართველი ხალხის მიმართ სამართლიანია.

ჟან-კლოდ იუნკერი გიორგი კვირიკაშვილს გუშინ შეხვდა.

შეგახსენებთ, Die Welt-ის ცნობით, ევროკავშირმა საქართველოსთან, უკრაინასთან, კოსოვოსთან და თურქეთთან ვიზალიბერალიზაციის შეთანხმებაში, შესაძლოა, ახალი პირობები ჩადოს.

კერძოდ, ევროკავშირსა და თურქეთს შორის არსებობს შეთანხმება, რომ თუ ოფიციალური ანკარა ლტოლვილებთან დაკავშირებით მიღწეული შეთანხმებით აღებულ ვალდებულებებს არ შეასრულებს, ევროკავშირს შეეძლება, თურქეთთან ვიზალიბერალიზაციასთან დაკავშირებით მიღწეული შეთანხმება გადაავადოს.

გამოცემის ინფორმაციით, ასეთივე პირობები შესაძლოა, საქართველოსთვის, უკრაინისა და კოსოვოსთვისაც ამოქმედდეს. გადავადების პუნქტის ჩადება ვიზალიბერალიზაციის შეთანხმებაში საფრანგეთმა და გერმანიამ მოითხოვა. აღნიშნულთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ მიღებული არ არის.

## თურქეთი შეთანხმების შესრულებას ელოდება

**თურქეთის პრემიერ-მინისტრმა აჰმეთ დავუთოღლუმ ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის პლენარულ სესიაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა, რომ თურქეთი საქართველოსგან თურქი მესხების რეპატრიაციის შესახებ 1999 წლის შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას ელოდება.**

„როგორც აღვნიშნე, 1999 წელს საქართველომ აიღო თურქი მესხების რეპატრიაციის ვალდებულება და ჩვენ ამ მხრივ განვითარებულ მოვლენებს ვაკვირდებით. ვიმედოვნებთ, რომ ამ ადამიანების რეპატრიაცია იქნება ასახული ერთ-ერთ პრიორიტეტად ევროსაბჭოს წევრი საქართველოს სამოქმედო გეგმაში“, – განაცხადა თურქეთის პრემიერ-მინისტრმა.

ამავე დროს, აჰმეთ დავუთოღლუმ აღნიშნა, რომ თურქეთი საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას მხარს უჭერს.

## ლადო პაპავა გადადგომის შემდეგ გააქტიურდა!

**თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჯერ კიდევ მოქმედმა, მაგრამ გადამდგარმა რექტორმა ლადო პაპავამ ჟურნალისტებს რექტორობის 3-წლიანი ანგარიში წარუდგინა. მან ყურადღება გაამახვილა სტრუქტურულ ცვლილებებზე, სამეცნიერო საქმიანობის გააქტიურებაზე, საერთაშორისო რეიტინგებში თსუ-ს წარმატებაზე, ახალ საგანმანათლებლო პროგრამებზე.**

პაპავას განცხადებით, 2015 წლიდან უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან 525 ათასი ლარი მიზნობრივი სამეცნიერო კვლევითი პროგრამებისთვის გამოიყო და შვიდივე ფაკულტეტის წარმატებული 5-5 დოქტორანტის სწავლის საფასური უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან დაიფარება.

„მიუხედავად იმისა, რომ ბევრი კარგი ცვლილება განხორციელდა, არის ისეთი საკითხებიც, რომელთა მოგვარებაც ვერ მოხერხდა. მაგალითად, ვერ მოვიპოვეთ უნივერსიტეტის საბიუჯეტო დაფინანსება. ხელისუფლებაში არ არის შესაბამისი პოლიტიკური ნება. ახლაც მივმართე პრემიერს, პრეზი-



დენტს და განათლების სამინისტროს თანხების გამოყოფისათვის“, – აღნიშნა ლადო პაპავამ.

პაპავა თსუ-ს რექტორად აკადემიურმა საბჭომ 2013 წლის 16 აგვისტოს აირჩია. 2016 წლის 30 მარტს, სტუდენტების საპროტესტო აქციების ფონზე, პაპავამ საბჭოს თანამდებობიდან გადადგომის განცხადებით მიმართა. თსუ-ს რექტორის მოვალეობის შემსრულებლის არჩევნები 20 აპრილს გაიმართება.

## ოპოზიციის „სიურპრიზი“ „ოცნებისთვის“

**2016 წლის 8 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნები შესაძლოა, მრავალმანდატიანი მაჟორიტარული სისტემით ჩატარდეს. ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუკი ნაციონალები, რესპუბლიკელები, „თავისუფალი დემოკრატები“, „ეროვნული ფორუმი“ და „გირჩი“ შეთანხმებას მიაღწევენ და ამ მოწვევის პარლამენტის უფლებამოსილების ამოწურვამდე, „საარჩევნო კოდექსში“ ცვლილებებს ერთობლივად მოამზადებენ.**

მრავალმანდატიანი საარჩევნო სისტემის შემოღების მიზნით, ზემოთ აღნიშნულ პარტიებს შორის წყებული კონსულტაციები თუ რა შედეგით დასრულდება, ამის პროგნოზი რთულია, თუმცა, საკითხზე კონსულტაციები გასულ კვირას, ქუთაისში, ნაციონალებსა და „ეროვნულ ფორუმს“ შორის გაიმართა. იქიდან გამომდინარე, რომ ზემოთ აღნიშნულ პარტიებს საარჩევნო სისტემაზე საკუთარი ხედვები აქვთ, წყაროს ცნობით, ჯერჯერობით, მხარეებს შორის მხოლოდ იდეების გაცვლა მოხდა და საუბარი არჩევნებში რამდენიმე ხმის მიცემის უფლების შემოღებაზეც იყო.



კონსულტაციები უკვე მიმდინარეობს. კერძოდ, წყაროს ცნობით, მოლაპარაკებებს საფუძვლად ახალი პოლიტიკური ცენტრის – „გირჩის“ მიერ ინიცირებული ცვლილებები უდევს, რომელიც ქვეყანაში სამ და მეტმანდატიანი მაჟორიტარული ოლქის შემოღებას ითვალისწინებს.

პარლამენტში პავლე კუბლაშვილის მიერ მომზადებული კანონპროექტის ინიცირება გასულ წელს მოხდა, თუმცა, საკითხი კოალიცია „ქართული ოცნების“ დაშლის შემდეგ გააქტიურდა და მრავალმანდატიანი საარჩევნო სისტემის მიღების შანსიც გაჩნდა, რადგან ცვლილებების მიღებას 76 ხმა სჭირდება, ზემოთ აღნიშნული პარტიების მხრიდან კი, 74 ხმა გროვდება, ვინაიდან, პარლამენტში „ნაციონალური მოძრაობა“ 46 დეპუტატით არის წარმოდგენილი, „გირჩი“ 4 კანონმდებლით, „რესპუბლიკური პარტია“ 10 დეპუტატით, „ეროვნული ფორუმი“ 6 წევრით, ხოლო „თავისუფალი დემოკრატები“ 8 წარმომადგენლით. ასევე რეზერვში მოიაზრებიან – მურმან დუმბაძე, დავით ბეჟუაშვილი და კობა დავითაშვილი.

საარჩევნო სისტემაზე დასანამ პარტიები კონსულტაციებს გამართავენ და ერთმანეთს საკუთარ სიმართლეში დაარწმუნებენ, მანამდე, „ოცნებას“ იმ საკონსტიტუციო ცვლილებების კენჭისყრა მოუწევს, რომელიც 2020 წლიდან მაჟორიტარული სისტემის გაუქმებას გულისხმობს. იქიდან გამომდინარე, რომ საკონსტიტუციო ცვლილებებს 113 ხმა სჭირდება, შესაძლოა, ეს პროექტი პარლამენტში ჩავარდეს და სწორედ ამ ცვლილებების ჩავარდნაზე იქნება დამოკიდებული მრავალმანდატიანი საარჩევნო სისტემის შემოღების საკითხის გააქტიურებაც.

რაც შეეხება „გირჩის“ მიერ მომზადებულ პროექტს, ცვლილებებით, შემოთავაზებულია მაჟორიტარული მანდატების გადანაწილების ახლებური მოდელი. კერძოდ, კანონპროექტით, ერთმანდატიანი საარჩევნო ოლქი იქმნება: ონი-ამბროლაური-ცაგერი-ლენტეხის მუნიციპალიტეტების საზღვრებში. ორმანდატიანი საარჩევნო ოლქები იქნება: რუსთავი; გორი; მცხეთა-თიანეთი-დუშეთი-ყაზბეგი; ბორჯომი-ახალციხე-ადიგენი-ასპინძა; ახალქალაი-ნინოწმინდა; ოზურგეთი-ლანჩხუთი-ჩოხატაური.

სამმანდატიანი საარჩევნო ოლქები იქმნება: საგარეჯო-გურჯაანი-სიღნაღი-დედოფლისწყარო; ლაგოდეხი-ყვარელი-თელავი-ახმეტა; გარდაბანი-მარნეული; კასპი-ქარელი-ხაშური; ბოლნისი-დმანისი-წალკა-თეთრიწყარო; ხარაგაული-თერჯოლა-ვანი-ტყიბული-ბაღდათი; ზესტაფონი-ჭიათურა-საჩხერე; სამტრედია-ხონი-წყალტუბო; ქუთაისი; ჩხოროწყუ-ზუგდიდი; ბათუმი. ასევე ოთხმანდატიანი საარჩევნო ოლქი იქმნება: მესტია-აბაშა-სენაკი-მარტვილი-ხობი-წალენჯიხა-ფოთი; ქედა-ქობულეთი-შუახევი-ხულო-ხელვაჩაური.

მიუხედავად იმისა, რომ ზემოთ აღნიშნულ პარტიებს შორის კონსულტაციები „გირჩის“ ინიციატივის საფუძველზე დაიწყო, არ არის გამორიცხული, რომ ამ პროექტმა ჩასწორება განიცადოს და ერთობლივად სხვა შინაარსის პროექტი მომზადდეს.

**თეონა მანაგაძე**

## ახალი სკვერები ჩუღურეთში

**ჩუღურეთის რაიონის გამგებელი ზურაბ ჩიკვილაძე გორკის №28-ში მცხოვრებ მოქალაქეებს შეხვდა და აღნიშნულ ტერიტორიაზე სკვერის კეთილმოწყობის პროექტი გააცნო. მისი ინფორმაციით, ტერიტორიაზე, სადაც წლების განმავლობაში ნაგავი უნებართვოდ იყრებოდა, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სკვერი მოეწყობა.**

**„მოსახლეობის ინტერესებიდან გამომდინარე, გამგეობის მიერ მომზადდა სკვერის მოწყობის პროექტი, რომელიც მოქალაქეებს გავაცანით. ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია თითოეული მოქალაქის ჩართულობა ქალაქის გალამაზებასა და კეთილმოწყობაში“, – განაცხადა ზურაბ ჩიკვილაძემ.**



**ჩუღურეთის რაიონში, ამ დროისთვის, მაზნიაშვილის ქუჩაზე, ტოლსტოისა და ჯავახიშვილის ქუჩების კვეთაზე მდებარე სკვერების რეკონსტრუქცია მიმდინარეობს. 2016 წლისთვის დაგეგმილია 30 სკვერის რეაბილიტაცია და 4 ახალი სკვერის მოწყობა.**

# კრახი – სადისტური პოლიტიკის ფინალი

**„ნაციონალურ მოძრაობაში“ კარგად იციან, რომ მომავალ პარლამენტში მათი ხვედრითი წილი ძალიან დაბალი იქნება. სწორედ გამსვლელი ადგილი და საარჩევნო სიის დაკომპლექტება გახდა ოდესის გუბერნატორის მიხეილ სააკაშვილისა და „ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერის გიგა ბოკერიას დაპირისპირების მიზეზი. სანდო ინფორმაციით, ბოკერიას არ სურს ყოფილი ძალოვანების და კონკრეტულად, ვანო მერაბიშვილისა და ძმებ ახალაიებთან ასოცირებული ადამიანების საარჩევნო სიაში შეყვანა, რასაც ყოფილ მმართველ გუნდში დაპირისპირება მოჰყვა.**







## ბოკერია და სააკაშვილი ნაც-მოძრაობის

## საარჩევნო სიის გამო ბოლმისგან გასივდნენ?

ბოკერიას იდეას დაუპირისპირდნენ „ნაციონალური მოძრაობის“ ის წევრები, რომლებიც სწორედ ყოფილ ძალოვანებთან არიან ასოცირებულნი და საქმის გარკვევა მათ ოდესის გუბერნატორთან გადაწყვიტეს. თავის მხრივ კი, მიხეილ სააკაშვილმა „ნაციონალურ მოძრაობას“ შეახსენა ყოფილი ძალოვანების ძალა და გავლენა. მიუხედავად იმისა, რომ მედიაში ვრცელდება ინფორმაცია, თითქოს, „ნაციონალურმა მოძრაობამ“ საარჩევნო სია უკვე დააკომპლექტა, რეალურად, საარჩევნო სიაზე შეთანხმება მიღწეული არ არის. პოზიციას არ იცვლის გიგა ბოკერია, რომელსაც საარჩევნო სიის ახალი სახეებით განახლება სურს.

შიდა კლანური დაპირისპირება და ბრძოლა გავლენის მოსაპოვებლად, „ნაციონალურ მოძრაობას“ ყოველთვის ახასიათებდა და ეს ინფორმაცია ყოველთვის ჟონავდა.

არჩევნების მოახლოებასთან ერთად გააქტიურდა ბოკერიას ფრთა, რომელიც ცდილობს „ნაციონალური მოძრაობის“ მერაბიშვილისა და ახალაიას კადრებისგან გაწმენდას და ამ გზით ცდილობს „ნაციონალური მოძრაობის“ რეინკარნაციას. რამდენად შეძლებს ბოკერია პარტიისთვის სასიცოცხლო ფუნქციების შენარჩუნებას, ექსპერტების განცხადებით, ეს რთული სათქმელია. რადგან, სწორედ ყოფილი ძალოვანების შანტაჟის ქვეშ იყვნენ და არიან „ნაციონალური მოძრაობის“ წევრები.

ექსპერტი **რამაზ საყვარელიძე** ამბობს, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ სრულიად გასხვავებული სტილისა და ორიენტაციის პოლიტიკოსების გაერთიანებაა, რომლის მთავარი იდეაც შანტაჟის დისციპლინაა. ახლა ერთობ, საინტერესოა, ვინ დაემორჩილება შანტაჟის დისციპლინას და ვინ არა.

**„ბევრს უთქვამს, რომ ერთმანეთზეც აქვთ კომპრომატები და ჩვენ ვხედავთ, რომ კომპრომატების ომი დაიწყო. ის, რომ ერთმანეთის მიმართ აქვთ ეს კომპრომატები, ამას ადასტურებს სააკაშვილისა და ადეიშვილის დიალოგი, რომელიც უკრაინულმა ვიკილიქსმა გაავრცელა. დიალოგი ბევრ საკითხს ეხება და მათ შორის, პირადი ცხოვრების კადრებს. კერძოდ, სააკაშვილი ეუბნება ადეიშვილს რაიმე ჩვენიანზეც გამოაქვეყნეთ, რომ ბრალი ივანიშვილისკენ წავიდესო. ეს უკვე ნიშნავს, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ ერთმანეთს კომპრომატებით ებრძვის.**

**ჩანს, რომ ამ კადრების გავრცელება სწორედ „ნაციონალური მოძრაობის“ იდეაა, რომ მერე ხელი მოქმედი ხელისუფლებისკენ გაიშვირონ. რთულია იმის თქმა, სადამდე გაგრძელდება შიდა დაპირისპირება, ვნახოთ, რას იზამს კომპრომატების ომი და რომელი მხარე გატყდება უფრო ადრე. თუ არ გატყდებიან, მაშინ „გირჩების“ მსგავსად ერთმანეთს უნდა განუდგნენ“,** — აცხადებს რამაზ საყვარელიძე.

მისივე დაკვირვებით, კომპრომატების ომში გამოჩნდება, ვინ რომელ მხარეს არის, რამდენადაც მხარეები შეიძლება დავყოთ პოლიტიკური და ძალისმიერი მეთოდის მომხრეებად.

პრინციპში, ლოგიკურად გამართულია ბოკერიას პოზიცია, რომ თუ ისევ ძალადობაზე დაამყარებენ მომავალს, იმ შედეგს მიიღებენ რასაც 2012 წელს. როგორც ჩანს, ბოკერიას სურს უფრო გრძელვადიანი შედეგების მიღება და ადვილი მეთოდიკით მუშაობა, კერძოდ, ძალადობის მინიმუმზე დაყვანით. რამდენად გამოუვა, ამის თქმა რთულია“, — აცხადებს რამაზ საყვარელიძე.

საზოგადოებრივი კომუნიკაციების მართვის სპეციალისტი **არჩილ გამზარდია** ამბობს, რომ პარტიას განვითარების შანსი თეორიულად არ გააჩნია. მისივე თქმით, როგორც ჩანს, დაწყებულია ჩვეულებრივი შიდა კლანური ბრძოლა, რომელიც ამ მოძრაობას ყოველთვის ახასიათებდა, უბრალოდ, რაღაცა ინფორმაცია გამოდიოდა, რაღაცა არა.

**„რაღაცას არ იმჩნევდნენ იმიტომ, რომ შანტაჟის ქვეშ იყვნენ. რადგან ეს უწესობა შექმნა „ნაციონალურმა მოძრაობამ“, ამ კადრებს დღესაც იყენებენ და რეალიზაციის მოტივაციაც მათ აქვთ. დიდი ფიქრი არ უნდა იმას, რომ პირადი კადრების გავრცელების რეალიზაცია მოდის იმ ჯგუფისგან, ვინც იწერდა ამ კადრებს. ის, რომ არც თვითონ არიან ერთმანეთისგან დაცულები, ეს უკვე გაცვეთილი თემაა.**

**სამწუხაროდ, ეს მოძრაობა მაფიოზური ფუნქციების მატარებელ დაჯგუფებას დაემსგავსა. როდესაც ხელისუფლების და ოპოზიციური პარტიის წინააღმდეგ იყენებენ ამ კადრებს, სავსებით შესაძლებელია, რომ ერთმანეთის წინააღმდეგაც გამოიყენონ. ამ კადრების გავრცელების უკან დგას ეს პოლიტიკური ჯგუფი. ყველას, ვინც არ ასრულებს მათ ინტერესებს და მათ შორის საკუთარ გუნდში, ამ კადრებით აშანტაჟებენ“,** — აცხადებს არჩილ გამზარდია.

**„არაფერია გასაკვირი იმაში, რომ სერიოზული თავის ტკივილი აქვს „ნაციონალური მოძრაობის“ საქართველოში შემორჩენილ გუნდს“,** — აცხადებს ექსპერტი **სოსო ცისკარიშვილი,** რომლის განცხადებით, ამ პარტიის ერთსულოვნება გამყარებული იყო სააკაშვილის მიერ, რომელიც მოწყდა ქართულ რეალობას. მისივე თქმით, ბოკერიასა და სააკაშვილის თვალით დანახული უკანასკნელი 4 წელი არ გავს ერთ ქვეყანაში არსებულ ვითარებას... მარტო გონი და ნიჭი საკმარისი არ არის წარმატებისთვის, რადგან ყველასთვის ცნობილია, ვინ არის კეზერაშვილის ჯიბის უხუცესი, ბოკერიას და მის გუნდს კი, ასეთ ფინანსურ წყაროებთან წვდომა არ გააჩნიათ.

**„მესმის ბოკერიას მიზანი, თუმცა, გარკვეული გავლენა ნაცმოძრაობაში სააკაშვილს აქვს, მაგრამ არა ისეთი, როგორც მას ჰგონია. რასაკვირველია, ე.წ. ძალოვანები ძნელად გასამიჯნია. მიზანი შეიძლება არსებობდეს, მაგრამ მისი განხორციელების პერსპექტივა დამოკიდებული არ არის მხოლოდ იმ პოლიტიკოსებზე, რომლებიც თვითკრიტიკის წიაღში აღწევენ ხოლმე. ძნელია საკუთარი მძიმე წარსულის დავიწყება, რაც სურს „ნაციონალური მოძრაობის“ გარკვეულ ნაწილს.**

**სამწუხაროდ, პროგრამის, რასაც ჰქვია პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების შედგენა, დაიწყო ამ მოძრაობამ. ჩაფიქრებული იყო, რომ ეს კადრები გამაერთიანებელი და ერთ ბირთვად შეკვრის შესაძლებლობა გახდებოდა, მაგრამ სწორედ, რომ უკუღმა იმუშავა ამ წარმოდგენამ. ახლა კი, საკუთარ თავს დასტირიან.**

**როდესაც სახელმწიფო მოხელეებზე ასეთი შინაარსის ჩანაწერები იკრიბებოდა, იქ ჩემის და სხვისის გარჩევა არ ხდებოდა, რადგან დოქტრინა სრულიად მკაფიო იყო — ყველას ყველასი უნდა ეშინოდეს, რომელიმე მათგანმა არ მოინდომოს რაიმე ისეთი, რაც მიუღებელია ამ პარტიის ლიდერებისთვის. მცდელობა იმისა, რომ ფეხზე გამოიბა ყველა, ვინც შენ გჭირდება და არ მისცე მას გვერდზე გახედვის საშუალება, ეს არ არის პოლიტიკა, ეს არის სადიზმის სრულიად მკაფიო ფორმა, რომლის ფინალიც არის კრახი“,** — დაასკვნა სოსო ცისკარიშვილმა.

**თამთა ქარჩავა**

## საარჩევნო სიებში მყოფ მინისტრებს თანამდებობის დატოვება მოუწევთ



**იუსტიციის** მინისტრი თეა წულუკიანი წინასაარჩევნო კამპანიის დაწყების ნებისმიერი თარიღისთვის მზადყოფნას გამოთქვამს და აცხადებს, რომ ყველაფერი გაკეთდება პარტიებისთვის თანაბარი წინასაარჩევნო გარემოს შექმნისთვის.

„იუსტიციის სამინისტრო ნებისმიერ თარიღს შევხვდებით მზად. თუ ეს იქნება ივლისში კამპანიის დასაწყისი, ჩვენ ივლისიდანვე ავამუშავებთ უწყებათაშორის კომისიას, თუ ეს იქნება აგვისტო, ავამუშავებთ აგვისტოდანვე. რაც მთავარია, პარტიებს ყველა პირობას შეუქმნის სახელმწიფო და მთავრობა იმისთვის, რომ მათ გამჭვირვალე პირობებში კონკურენცია შეძლონ. თუკი რომელიმე მინისტრი იქნება კანდიდატი, რა თქმა უნდა, მას მოუწევს კანონის დაცვა და არც არავინ მისცემს ასეთ კანდიდატს იმის საშუალებას, რომ კანონი არ დაიცვას. ეს არის ის, რაც კანონში წერია. რაც შეეხება კონკრეტულ გვარებს, ამაზე საუბარი არ ყოფილა“ — განაცხადა იუსტიციის მინისტრმა.

## „ფიზიკური პირის იყო ის ბინა, რომელიც ნაცებმა „აახიეს“ და მისცეს პაპუაშვილს..“

**მოსამართლე** მერაბ ტურავასთვის ბათუმში ბინის სიმბოლურ ფასად გადაცემას ეხმაურება გია ვოლსკი. ის ამაში პრობლემას ვერ ხედავს და პარალელს ავლებს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე გიორგი პაპუაშვილისთვის ქონების გადაცემასთან: „ფიზიკური პირის იყო, რომელსაც „აახიეს“ ბინა და მისცეს პაპუაშვილს. მე ვფიქრობ, მიუხედავად იმისა, პაპუაშვილი შეჭრილია, თუ არა ადამიანის ბინაში, რომელსაც თავის დროზე უკანონოდ წაართვეს ეს ბინა, ინსტიტუტს, რასაც ჰქვია საკონსტიტუციო სასამართლო, მოსამართლეებსაც პატივი უნდა ვცეთ და შევინარჩუნოთ პოზიტიური დამოკიდებულება მათ მიმართ. ყველა საკითხს აქვს თავის პასუხი და, ასე რომ, მარტო ერთ მხარეს არ უნდა მოვუსმინოთ,“ — განაცხადა გია ვოლსკიმ.

## სტამბოლის გამოცდილება განსაკუთრებით საინტერესოა

**თბილისის** მერი დავით ნარმანია ოფიციალური ვიზიტით სტამბოლში იმყოფებოდა, სადაც ქალაქ სტამბოლის მეტროპოლიის მუნიციპალიტეტის მთავრობის წევრებს შეხვდა და სამსახურების მუშაობას გაეცნო.

დავით ნარმანიამ შეხვედრები გამართა ქალაქ სტამბოლის ურბანული დაგეგმარებისა და განვითარების, სატრანსპორტო მართვის, სერვისებისა და საინვესტიციო, კულტურული მემკვიდრეობისა და ძეგლთა დაცვის დეპარტამენტების ხელმძღვანელობებთან. ასევე, ადგილზე გაეცნო სტამბოლის ნარჩენების მართვის სისტემას. გამოცდილების გაზიარების მიზნით, სამსახურების წარმომადგენლებმა, თავის მხრივ, პრეზენტაციები გამართეს და თბილისის მერს თურქეთის უდიდესი ქალაქის საკვანძო სამსახურების მუშაობის პრინციპების შესახებ ინფორმაცია მიაწოდეს. ისაუბრეს დანერგილი პრაქტიკისა და განხორციელებული ინოვაციური პროექტების შესახებ.



განსაკუთრებული აქცენტები გაკეთდა სტამბოლის არქიტექტურასა და ურბანულ დაგეგმარებაზე, ასევე, სატრანსპორტო სისტემასა და მოძრაობის კოორდინაციის მართვაზე. დავით ნარმანიას განცხადებით, თბილისში ამ კუთხით არსებული გამოწვევების დაძლევის მიზნით, სტამბოლის, როგორც თურქეთის და მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი ქალაქის გამოცდილება განსაკუთრებით საინტერესოა.



# 2. დაარიგა თუ არა აფხაზეთის ჯანდაცვის მინისტრმა ვადაგადაცილებული წამლები?

## შეიძლება ხის დარგვაც საქილიკო თემა იყოს?!




**აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების უფლება-მოვალეობებსა და პოლიტიკურ მისიაზე ჩვენს ადრინდელ ნომერში ვისაუბრეთ. შეგპირდით, რომ მთავრობის მიერ განხორციელებულ სხვა პროგრამებზეც მოგაწვდიდით მასალას. ამჟერად ჩვენი სტუმრები არიან „რუსთავი-2“-ის ეთერში მკაცრად გაკრიტიკებული მთავრობის წარმომადგენლები: ჯანდაცვის მინისტრი და სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის ხელმძღვანელი.**

**ქეთევან ბაკარაძე (ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი):**

— ბატონ აკაკი გოგიჩაიშვილს მთელი პათეტიკით ვესაუბრე თითქმის ერთი საათის განმავლობაში, და დიდი იმედი მქონდა, მართებულად იქნებოდა მის მიერ ფაქტები აღქმული. სამწუხაროდ, მოხდა კი პირიქით... მე დოკუმენტურად, არგუმენტირებულად გავუბათილე ყველა ბრალდება, მაგრამ მან „რატომღაც“ არ გაითვალისწინა...

**— კონკრეტული ბრალდება შეეხებოდა ვადაგადაცილებულ წამლებს, რომელიც თითქოს თქვენმა სამინისტრომ დევნილ მოსახლეობას დაურიგა...**

— ჩვენი გასვლითი სამედიცინო-პროფილაქტიკური ღონისძიებების ერთ-ერთი კომპონენტია მედიკამენტების გაცემა. მაგრამ არავითარ შემთხვევაში ეს არ არის ჰუმანიტარული მედიკამენტები, თუმცა კი, ასეთი პრაქტიკა ჩვენს სამინისტროში წლების წინათ არსებობდა. ჩემი მოსვლის შემდეგ, დავიწყეთ ტენდერებით, ანუ ელექტრონული შესყიდვით მედიკამენტების შეძენა. სატენდერო წინადადებაში გვიწერია, რომ შესასყიდი მედიკამენტი უნდა იყოს ვარგისიანი არანაკლებ თორმეტი თვისა. თუნდაც თერთმეტ-ნახევარი თვეც რომ იყოს მითითებული, ტენდერში ავტომატურად ვერ მოხვდება. თანაც, აქცენტს ვაკეთებთ ევროპული ხარისხის ძვირად ღირებულ მედიკამენტებზე, რაზეც დევნილ მოსახლეობას ხელი ნაკლებად მიუწვდება. რაც შეეხება ჰუმანიტარულ მედიკამენტებს... 2014 წლის ჩვენი ერთ-ერთი ღონისძიების მოსამზადებელ პერიოდში, ფარმაცევტულმა კომპანიამ 1000 ლარამდე ღირებულების მედიკამენტები მოგვაწოდა. მიღების დროს აღმოჩნდა, რომ მათ ერთი თვის ვადაში ეწურებოდა ვადა. არსებობს თათბირის ოქმის ჩანაწერები, სადაც ერთობლივად შევჯერდით, რომ ეს პრეპარატი ჩვენს ნუსხაში არავითარ შემთხვევაში არ მოხვდებოდა. გადაწყდა, რომ რა გზითაც მოხვდა სამინისტროში, იმავე გზით უკან დაბრუნებულიყო. არსებობს მიღება-ჩაბარების აქტი, სადაც მითითებულია, რომ აღნიშნული მედიკამენტები ზუსტად იმავე რაოდენობით დაბრუნდა უკან. ეტყობა, ჩვენს ოპონენტებს ხელთ ჩაუვარდათ ამ სქემის მხოლოდ პირველი ნაწილი, მაგრამ დაბრუნების შესახებ არ იციან...

**— ანუ წამლები ბენეფიციარებისთვის არ დაურიგებიათ?**

— რა თქმა უნდა, არა... ეს მედიკამენტები ბენეფიციარებთან არ მოხვედრილა. მე ამის შესახებ მოვახსენე აკაკი გოგიჩაიშვილს, რაზეც მიპასუხა, რომ ეს მას არ აინტერესებს. კი მაგრამ, თუ ჩემს რეპუტაციას ლახავ, ასაჯაროებ ფაქტებს, რომელიც ჩემს დისკრედიტაციას ემსახურება, რა თქმა უნდა, პასუხიც უნდა გაინტერესებდეს! შესაბამისად, ამ სიუჟეტიდან თვალნათელი გახდა მისი მიკერძოებულობა.

ჩვენმა ოპონენტებმა არაერთი ბრიფინგი მიუძღვნეს ამ ფაქტს, კლიპიც კი გაიგზავნა საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროში და ითხოვდნენ ჩემს გათავისუფლებას, ვითომდა, ჩემი კრიმინალური ქმედებების გამო და ა. შ., მაგრამ ამას მხოლოდ ადეკვატური რეაგირება მოჰყვა სამინისტროს მხრიდან. მოითხოვეს დოკუმენტაცია, რომელიც სრულყოფილად მივაწოდეთ და თემაც დაიხურა. თუმცა, მე ამით არ დავკმაყოფილდი და ვუჩივლე იმ ორგანიზაციებს, რომელთაც არასწორი ინფორმაცია მიაწოდეს საზოგადოებას. ვუჩივლე ღირსების შელახვისთვის, დისკრედიტაციისთვის... საქმე განხილვის პროცესშია.

სახელმწიფო აუდიტმაც დადო შესაბამისი დასკვნა ამ საქმეთან დაკავშირებით.

ჩვენი იმპერატიული მოთხოვნაა, რომ მედიკამენტის ვარგისიანობის ვადა იყოს არანაკლებ თორმეტი თვისა.

**— თითქოს თქვენ შიდა აუდიტის თანამშრომელი გაათავისუფლეთ, რომელმაც ეს ფაქტი აღმოაჩინა?**

— ეს თანამშრომელი მართლაც გათავისუფლებულია, მაგრამ არა ამის გამო. ის სულ სხვა მიზეზებით იქნა გაშვებული სამინისტროდან. თანაც, მე ჩემი დისკრეციული უფლება არ გამომიყენებია. მოწვეული იყო კომისიის 5 წევრი სხვადასხვა უწყებიდან და მისი საქმიანობა დეტალურად შეისწავლეს. შესაბამისად, ამ დასკვნის საფუძველზე გათავისუფლდა. ამ თანამშრომელმა გაასაჩივრა აღნიშნული გადაწყვეტილება, თუმცა, არც პირველი ინსტანციის სასამართლომ და არც სააპელაციომ მისი სარჩელი არ დააკმაყოფილა.

**— სიუჟეტში გავიდა თემა, რომ თქვენს ერთ-ერთ სამედიცინო კლინიკაში გაქვთ სასტუმრო, რომელსაც აქირავებთ, ანუ, ფაქტობრივად, ეს არის კომერციული პროექტი... იღებთ თანხას, რომელიც არსად არ არის აღრიცხული. ესეც ტყუილია?**

— რა თქმა უნდა, ეს არ არის სიმართლე. ეს არის ის ობიექტი, რომლითაც სარგებლობენ რეფერალური პროგრამების ბენეფიციარები და მათი თანმხლები პირები, ანუ განკუთვნილია ოკუპირებული ტერიტორიიდან სამკურნალოდ გადმოსული ჩვენი თანამოქალაქეებისათვის. აღნიშნული ობიექტი შეკეთდა და აღიჭურვა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობისა და თურქეთის თანამშრომლობისა და კოორდინაციის სააგენტოს ნაყოფიერი ურთიერთთანამშრომლობის შედეგად. ხოლო, იმ მცირე ხარჯებს, რომელიც სჭირდება მის მოვლას, ფარავს აფხაზეთის ჯანდაცვის სამინისტრო...

როგორ შეიძლება ვინმემ ამას უწოდოს კომერციული პროექტი?! ამის შესახებ ყველა შესაბამისი ნომრატიული აქტი არსებობს და თუ ადამიანს, მით უფრო ჟურნალისტს, სურს, გააკეთოს ობიექტური მასალა, ეს არ გაუჭირდება...

სად მიდის მილიონებიო? — მაინც ჯიუტად მიმეორებდა აკაკი გოგიჩაიშვილი. მე მას ავუხსენი, რომ შპს-ები არიან ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ბალანსზე მყოფი, 100-პროცენტით სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული სამედიცინო დაწესებულებები. მათ, წლის შედეგებიდან გამომდინარე, აფხაზეთის ბიუჯეტში გადასახდელი მოგების გადასახადის ნაწილი უბრუნდებათ უკან რეეინვესტიციის სახით. შესაბამისად, მაგალითად, ამ თანხით ზუგდიდის პოლიკლინიკამ ორ წელიწადში ორსართულიანი შენობა ააშენა, აღჭურვა ინვენტარით, ასევე ჯვარის პოლიკლინიკამ რეინვესტირებით 120 კვ.მ. შეიძინა და ამ ეტაპზე იქ სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობს. რა ინტერესი აქვს დევნილს, იქ რომ მიდისო? — მკითხა გოგიჩაიშვილმა. დაბალი ტარიფები, დევნილი კოლექტივი, მკურნალობის შედეგები, პროფესიონალიზმი. აქ ძალიან მნიშვნელოვანია ფსიქოლოგიური მომენტი... მაგალითად, აფხაზეთიდან ჩამოსული აფხაზები, ჩვენთან მიმართავენ მათთვის უკვე ნაცნობ ექიმებს, რომელსაც იქ იცნობდნენ, ენდობოდნენ. წარმოიდგინეთ, რამდენი წელია გასული კონფლიქტიდან, მაგრამ მათ ექიმების სახელი და გვარი არ ავიწყდებათ.

მოკლედ იმის თქმა მინდა, რომ ბევრი საინტერესო მასალის აღება შეეძლო ჩვენგან „რუსთავი-2“-ს და გაშუქება... სამწუხაროდ, მათ არჩიეს ტენდენციურობა.

**ვალერი ბასარია (ბუნებრივი რესურსებისა და გარემოს დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარე):**

— აფხაზეთის დევნილი მოსახლეობის 62 პროცენტი სოფლად ცხოვრობს და ამდენად მეტ-ნაკლებად შეხება აქვთ აგრარულ სექტორთან. თუმცა, მათი დასაქმება ურთულეს პრობლემებს უკავშირდება. ვინაიდან სოფლად მცხოვრები დევნილები მიწის მესაკუთრეები არ არიან, ისინი, ფაქტობრივად, იმ სახელმწიფო პროგრამებით ვერ სარგებლობენ, რომელსაც სოფლის მეურნეობის სამინისტრო ახორციელებს. დევნილებისთვის მიწის დაკანონება არ ხდება. რაც ჩვენ მოვედით აფხაზეთის მთავრობაში, ორ წელზე მეტია, ვფიქრობთ, რა შეიძლება იყოს გამოსავალი, რით შეიძლება დავეხმაროთ ადამიანებს... როგორც იცით, სახელმწიფო აქტიურად მუშაობს მიწების რეგისტრაცია-დაკანონებაზე, მაგრამ ჯერ კიდევ რჩება სახელმწიფო საკუთრებაში მიწის ფართობები, რომელსაც მიზეზთა გამო კერძო მეპატრონე არ ჰყავს. ჩვენ გამოვედით ინიციატივით, ასე ვთქვათ, გამოვნახეთ ჩვენი ნიში, რომ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არალიკვიდური ქონება გამოვიყენოთ საინიციატივო ბიზნესჯგუფების მხარდასაჭერად. ამაზე ცენტრალური ხელისუფლებაც დაგვთანხმდა და დღემდე აქტიურად ვთანამშრომლობთ...

**— კონკრეტულად, რას გულისხმობს თქვენი ინიციატივა?**

— მოვიძიეთ დევნილთა კომპაქტური დასახლებების გარშემო სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთები, რომელიც არ არის კადასტრირებული, შევედით წინადადებით ქონების მართვის სააგენტოში, რომ ეს ნაკვეთები აფხაზეთის მთავრობას გადმოეცეს სარგებლობის უფლებით. ჩანაწერში აღნიშნულია „არსებობის ვადით“, ანუ სანამ აფხაზეთის სტრუქტურები არსებობენ, გვაქვს განკარგვისა და სარგებლობის უფლება. უკვე აღებული გვაქვს რამდენიმე ნაკვეთი და ვეძებთ საინიციატივო ჯგუფებს, რომელთაც გააჩნიათ აგრარულ სექტორში მუშაობის გამოცდილება და მოტივაცია...

**— აფხაზეთიდან დევნილებისთვის ეს სფერო ცნობილია: მიწის დამუშავება, მეჩაიეობა-მეციტრუსეობა, თუთუნის მოყვანა და ა. შ.**

— დიახ, დიახ...

პირველად 2014 წელს გადმოგვცა ეკონომიკის სამინისტრომ 360 ჰა მიწის ნაკვეთი ტერიტორიაზე, რომელიც ზუგდიდის რაიონს მიეკუთვნება, რუხი-რიყის ტერიტორია. დევნილებმა უკვე დაიწყეს 17 ჰექტარზე მეტი მიწის დამუშავება, ერთწლიანი კულტურების მოყვანა... რაც შეეხება, დანარჩენ ტერიტორიას, საქართველოს შესაბამის უწყებებთან ერთად ვმუშაობთ დევნილთათვის სასარგებლო სოციალურ-ეკონომიკური პროექტების განსახორციელებლად.

**— კიდევ რა ინიციატივები გაქვთ?**

— ქუთაისში ჰექტარზე მეტ მიტოვებულ ტერიტორიაზე, სადაც ელექტროძრავის ქარხანა ფუნქციონირებდა და რომელიც წლების განმავლობაში იძარცვებოდა დღისით, მზისით, არასამთავრობო ორგანიზაციების თანამონაწილეობით გავაკეთეთ ბიზნესინკუბატორი. იქ გახსნილია

---

**თემის დასაწყისი იხ: „სრ“, 9 აპრილი, №66 — „აქვს თუ არა აფხაზეთის ლეგიტიმურ ხელისუფლებას მილიონები“...**

რამდენიმე საწარმო, სადაც სტაჟირებას გადიან ახალგაზრდები... საინკუბაციო პერიოდი ბიზნესის სფეროში უკვე 60-ზე მეტმა ახალგაზრდამ გაიარა, ზოგიც იქვე დასაქმდა.

ასევე გასულ წელს ამერიკის მთავრობასთან (USAID) ერთად დავიწყეთ პროექტი და ქვეყნის 12 რაიონში მოვაწყვეთ მცირე სასათბურე მეურნეობა. რუსთავის მე-12 გზატკეცილზე იყო სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასათბურე მეურნეობა. ეს კონსტრუქციები დავშალეთ და გადავეცით დევნილებს ასევე მინი მეურნეობების მოსაწყობად. ამ პროგრამით სარგებლობს 21 ბენეფიციარი 49-წლიანი იჯარით – დევნილები როგორც აფხაზეთიდან, ისე ცხინვალიდან. 68 მეურნეობა მოეწყო, სადაც 200-ზე მეტი სამუშაო ადგილი შეიქმნა.

**– რა კულტურები მოჰყავთ?**

– მწვანილი, ბოსტნეული, ყვავილები... ამ ყველაფრის მონიტორინგს რეგულარულად ვატარებთ და დოკუმენტურ ფილმსაც ვამზადებთ ამის შესახებ. ყველაფერს შრომა უნდა, მით უფრო, როცა ყველაფერი ევროსტანდარტების შესაბამისი უნდა იყოს, მაგრამ, ჩვენს დევნილ მოსახლეობას, დამეთანხმებით, შრომა არ ესწავლება...

**– როგორც ვიცით, მეფუტკრეობაშიც განსაკუთრებული მიღწევები გაქვთ...**

– შევქმენით კოოპერატივი „კოდორი-2015“ და სწორედ ამ სახელით ვაწარმოებთ თაფლს, რომელსაც არათუ საქართველოში, ევროპაშიც ძნელად თუ მოეპოვება ბადალი, მართლაც, ძალიან მაღალი ხარისხისა, თუმცა, ძვირიანი... გვყავს მეფუტკრეთა ჯგუფი, რომელსაც დამსახურებული მეფუტკრე დემურ დარსანია ხელმძღვანელობს. გარდაბანში გვყავს სკა – 270 ოჯახი. უკვე მესამე წელიწადია, ჩვენი თაფლი ტესტირებას რიგის ძვირად ღირებულ ლაბორატორიაში გადის და ევროსტანდარტებს შეესაბამება. თითქმის ყველა სოლიდურ კონკურსში ვმონაწილეობთ და მოთხოვნაც ძალიან დიდია...

**– ბატონო ვალერი, თქვენი ოპონენტები გაქილიკებენ: ხეების დარგვის მეტი, სხვა არაფერი ფუნქცია არა აქვთო...**

– სწორედ ეს არის არასახელმწიფოებრივი მიდგომა, თორემ, როგორ შეიძლება ხის დარგვა და გამწვანება საქილიკო თემა იყოს?! ახლა, რაც შეეხება კონკრეტულ საკითხებს:

მოგეხსენებათ, რომ გლდანის ნაგავსაყრელი, ფაქტობრივად, წარმოადგენს ეკოლოგიურ საფრთხეს თბილისისთვის. აქ ერთად არის თავმოყრილი ბიოლოგიური და ქიმიური ნარჩენები, სამშენებლო მასალები თუ სხვა; იქ მიმდინარეობს ისეთი ქიმიური პროცესები, რომელთა დაძლევას წლები დასჭირდება. ჩვენმა ეკოლოგებმა იმუშავეს ამ ტერიტორიაზე და ერთადერთ საშუალებად მიიჩნიეს რეკულტივაცია, ანუ მომზადდა, დამუშავდა ზედა ფენა, სადაც მრავალწლიანი ნარგავები გავაშენეთ. გამწვანების პროექტს თბილისის მერიის სამსახურთან ერთად ვახორციელებთ. ვრგავთ ხეებს, მაგრამ უმძიმესი ქიმიური პროცესების გამო უჭირს გახარება ან საერთოდაც ხმებიან. ზედაპირის გასამაგრებლად კი აუცილებელია, მცენარის ფესვმა მოიკიდოს ფეხი... ამიტომ ვარჩევთ სხვადასხვა კულტურებს და გამწვანების აქციებს ეტაპ-ეტაპ ვახორციელებთ...

ჩვენ გვყავს უძლიერესი რეინჯერები, რომლებიც მთელი თბილისის გამწვანებაში აქტიურად მონაწილეობენ, ურთულეს მუშაობას ეწევიან...

**– და ბოლოს, კოლხურ ბზაზეც მინდა, ისაუბროთ...**

– ნახევარ წელიწადზე მეტია, ეს პროგრამა დაიწყო. უკვე პოლიტიკურ დონეზე შედგა შეთანხმება და ვალდებულება ავიღეთ, შევწამლოთ და ვმართოთ აფხაზეთის ტერიტორიის 43 ჰა ტყის მასივი. სამეგრელოში 500 კვ.მ. სასათბურო მეურნეობა გვაქვს, სადაც გვაქვს კოლხური ბზის რეზერვატი და სულ მალე შევძლებთ აფხაზეთის მომარაგებას.

მინდა, დავსძინო, რომ სახელმწიფომ დაიწყო ჩაისა და ციტრუსის მიმართულებით აქტიურობა. ამასწინათ ჯერ ჩინეთში იყვნენ ჩასულები ჩვენი სპეციალისტები, შემდეგ ჩინეთიდან გვესტუმრნენ სპეციალისტები და ტერიტორიები დაათვალიერეს. ეს ის სფეროა, სადაც ჩვენი დევნილები განსაკუთრებულ ინტერესს იჩენენ...

ესაუბრა
**თეა მოსია**

# თვითონ ეს სხვათა გამომკვლევი ორგანიზაციებია გამოსაკვლევი!..

**დიდია ხალხის იმედგაცრუების ხარისხი პოლიტიკოსთა მიმართ და მასთან ერთად, განუზომელია იმ უცხოური ორგანიზაციების მიერ საქართველოში გაწეული „შრომისადმი“ ეჭვი. 25-წლიანმა ტყუილებმა, უხვმა დაპირებებმა, ე.წ. დემოკრატიისკენ სწრაფვამ და ვითომ ადამიანის უფლებებისადმი პატივისცემამ საზოგადოება ნიჰილიზმამდე მიიყვანა.**

ხალხს აღარც NDI-ს სჯერა და აღარც IRI-ს, აღარც მათი მშობელი აშშ-ისა და აღარც ევროპის. უსასრულო დაპირებებმა და არშესრულებამ იცის ყოველივე ეს, რაშიც ბრალი არა მარტო აქაურ პოლიტიკურ პარტიებს და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს მიუძღვით, არამედ დასავლურ ორგანიზაციებს, რომლებიც „ნაყოფიერად“ მოქმედებენ საქართველოში.

დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ბოლო კვლევის შედეგებმა ზემოაღნიშნული ამერიკული ორგანიზაციების მიმართ კიდევ ერთი უარყოფითი წვლილი შეიტანა მათდამი ნდობაში, თუმცა ისე, როგორც ყოველთვის ამით ვერ გატეხა ის ძლიერი სულისკვეთება, რაც მათ გააჩნიათ, ვინაიდან კარგად იციან ქართველი საზოგადოების ხასიათი – უცბად აფეთქება და უმალვე ჩაქრობა რომ ჰქვია.

საზოგადოების ის ნაწილი, რომელიც პოლიტიკითაა გატაცებული – აფეთქდა და მასთან ერთად განაწყენებული პარტიებიც, თავიანთი თავი რომ ვერსად ნახეს NDI-ს მონაცემებში. „და სხვაში“ მოხსენიება, სიკვდილის მომასწავლებელი იყო მათთვის. და არის ერთი ამბავი ატეხილი მედიაში. გამოკითხვის შედეგებით დათრგუნვილები ბევრი რამით ხსნიან „რესპექტაბელური“ ამერიკული ორგანიზაციის მიერ ჩატარებულ გამოკვლევას – უმთავრესად ქართული პარტნიორის ცუდი შერჩევით, გამოკითხულთა ვიწრო წრით, ნათესაურ-მეგობრულ-პარტიული გამოკითხვით და ა.შ.

ყველასთვის ცნობილია, რომ NDI და IRI გამოკითხვის ჩასატარებლად ადგილობრივ ინსტიტუტებს ქირაობს, რომლებიც ატარებენ გამოკითხვას და შედეგებს დამკვეთის მაგიდაზე დებენ. „დაჩაგრულ“ პოლიტიკურ პარტიებს ეჭვი აქვთ, რომ ადგილობრივი ინსტიტუტები პოლიტიკური ნიშნით არის შერჩეული. ასე იყო ბოლო გამოკითხვის დროს, როდესაც „ნაციონალი“ თარხნიშვილის მეუღლის ორგანიზაცია ამოირჩია NDI-მ გამოკითხვის ჩასატარებლად. მაგრამ, ვითომ მარტო მან გადაწყვიტა ისეთი შედეგების „მიღება“, როგორიც მიიღო? ვითომ მარტო მან აიღო თავის თავზე პასუხისმგებლობა?

განაწყენებული პარტიები შემსრულებელს ლანძღავენ – გაკვრით დამკვეთსაც, თუმცა ისე, როგორც წინა გამოკითხვის დროს, თავს იკავებენ ამერიკული ორგანიზაციების პირდაპირ დადანაშაულებაში, მოტივით – მაინც ჩვენი სტრატეგიული პარტნიორის ინსტიტუტებია და მათი წყენა არას გვარგებსო!

ყველა განაწყენებული პარტია თავის სიტყვას ასე იწყებს – „ჩვენ პატივს ვცემთ NDI-ს, IRI-ს. ეს ორგანიზაციები უდავოდ კარგ საქმეს აკეთებენ“ და ა.შ. და შემდეგ გადადიან მთავარზე, ანუ გამოკითხვის საეჭვო შედეგებზე და იმ ქართული ორგანიზაციის ლანძღვაზე, ვინც უშუალოდ შეასრულა დაკვეთა.

განაწყენებული მხარის მიხედვით, დამნაშავე არამცდაარამც არ უნდა იყოს ამერიკული ორგანიზაცია, თუნდაც დამნაშავე იყოს. დამნაშავე – ქართული დაბალი ლობეა მუდამ, რაც თავისთავად აგულიანებს „სტუმარ“ ორგანიზაციას და ისიც, იალაღებზე გასული, ყოველ ახალ გამოკითხვას ისე ატარებს, როგორც უნდა. ცხადია, ადგილობრივი შემსრულებლის წვლილი გაყალბებულ გამოკითხვაში დიდია. სწორედ ის არჩევს გამოსაკითხ ხალხს და არა NDI. სწორედ ის სვამს კითხვას ისე, რომ პასუხი სხვა არ მიიღოს.

გამოკითხვის მეთოდიკიდან გამომდინარე, სამ ათასზე მეტი გამოკითხულიდან ერთს მაინც უნდა ეთქვა, რომ გამოჰკითხეს. თბილისი და საქართველო მთლიანად არც ისეთი დიდია, ვინმეს (გამოკითხულს) რომ არ ეთქვა – დამირეკეს და მკითხესო. წლების განმავლობაში გამოკითხვაში მონაწილეობამიღებულმა არც ერთმა ადამიანმა არ „გათქვა“ საიდუმლოება და არ თქვა – გამომკითხესო, განა ეს საეჭვო არ არის?!

დავუშვათ, მართლაც, პირნათლად შეასრულა ქართულმა ორგანიზაციამ ამერიკელთა შეკვეთა და რესპონდენტს გარკვევით აუხსნა შეკითხვის არსი – მივიღებთ თუ არა ობიექტურ პასუხს? ძნელი დასადგენია, ვინაიდან თვით საზოგადოება ზერელედ უდგება გამოკითხვას, ანუ არ პასუხობს გულწრფელად. ზოგს ჰგონია, რომ სწორი პასუხით საკუთარ თავს და ოჯახს ავნებს – სააკაშვილის თითქმის ათწლიანი რეჟიმის „სიტკბო“ დღესაც გამოყოლილი აქვს. ზოგი დაუფიქრებლად პასუხობს და ა.შ. სამწუხაროდ, საქართველოს საზოგადოება ჯერაც არ არის იმ დონეზე, რომ გააზრებული პასუხი გასცეს. სხვაგვარად ვერ ახსნი გამოკითხვის იმ შედეგს, რომ მოსახლეობის საკმაო ნაწილს ეშინია რუსეთის და თან მასთან უნდა ურთიერთობა.



**გამომკითხავ-გამოკითხულის ზერელეობა იძლევა ისეთ შედეგს, რომლითაც არვინაა კმაყოფილი, გარდა იმ პარტიებისა, ვინც გამოკითხვის მიხედვით მეტ ქულებს აგროვებს. არის კიდევ ერთი მხარე, რომელიც უდავოდ კმაყოფილია მიღებული შედეგით. ეს ამერიკული ორგანიზაციებია – გამოკითხვის დამკვეთი. მიზანი მათი, გამადიდებელი შუშის გარეშეც კარგად ჩანს – სასურველის, რეალურად წარმოსახვა.**

NDI-ი და NDI-ი შეკვეთას აძლევენ ადგილობრივ ორგანიზაციას და იმავდროულად თავიანთ გულისნადებსაც უმხელენ – როგორი შედეგის მიღება სურთ. ამერიკული ორგანიზაციები მარტო უბრალო ორგანიზაციები არ არის. ისინი საზოგადოებრივი აზრის ჩამომყალიბებელი ორგანიზაციებია, ისეთები, როგორებიც გავლენას ახდენენ ფართო მასების ტვინებზე. ვინმეს ეჭვი ეპარება იმაში, რომ ისინი, მათ მიერ შექმნილ „ნაციონალურ მოძრაობას“, „თავისუფალ დემოკრატებს“ და მათ მსგავსებს გამოკითხულთა ფავორიტებად არ მოიხსენიებენ?

ეს ორგანიზაციები ისეთებს წამოწევენ წინ, აშშ-ის პოლიტიკას რომ აწყობს. მათ ისე უნდა დახატონ აქაური პოლიტიკურ-საზოგადოებრივი ცხოვრება, როგორც ვაშინგტონს სურს. რა ფასი აქვს ასეთ გამოკითხვას? გაიხსენეთ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნები და ორივე ორგანიზაციის მიერ ჩატარებული გამოკითხვების შედეგები – „ნაცების“ მოსალოდნელი წარმატებით, არადა, მაშინ „ოცნება“ ლიდერობდა, გამოკითხვა კი სრულიად საწინააღმდეგოს გვახვევდა თავს.

ციხის კადრებმა იხსნა ქვეყანა, თორემ „ნაცებს“ გამარჯვება განაღდებული ჰქონდათ და ეს არავის გაუკვირდებოდა, ვინაიდან არჩევნებამდე თითქმის ერთი წლის განმავლობაში IRI და NDI შავი ყორნებივით გამუდმებით დაგვჩხაოდნენ – ხალხს ასე სურს გამოკითხვის მიხედვითო. და როდესაც ასეთ გამომკითხველებთან გვაქვს საქმე, გამოკითხულიც შესაბამისად იქცევა, ანუ ზერელედ, ვინაიდან კარგად იცის, რომ მის მიერ გაცემული „ნამდვილი“ პასუხი სადღაც გაქრება.

NDI აცხადებს, რომ მისი მიზანი დემოკრატიისთვის ბრძოლაა. ძნელია დაიჯერო განცხადების ჭეშმარიტება, როდესაც თვით მისი ქვეყანა და პოლიტიკა ძალიან შორსაა დემოკრატიისგან. აშშ-ს ყველაზე დიდ დემოკრატად მოაქვს თავი და ცდილობს, ასეთი დემოკრატია სხვას მოახვიოს. მარტო ერთი მაგალითის გახსენებაც კმარა. რამდენიმე წლის წინათ მან გაუკეთა ორგანიზება ლიბიაზე თავდასხმას. დაინგრა ქვეყანა, წამებით მოკლეს მისი ლიდერი კადაფი. ლიბია ტერორისტების ბუდედ იქცა.

ლიბიის განადგურების შემდეგ, წლების განმავლობაში, აშშ-ის ადმინისტრაცია აცხადებდა „შავზე“ თეთრიაო – ყველამ კი იცოდა „შავი“, „უშავესი“ რომ იყო. და ბოლოს, სიმართლე მაინც ვერ დამალა, თვით გამოტყდა, რომ ლიბიაზე შეტევა დიდი შეცდომა იყო. პრეზიდენტმა ობამამ აღიარა ეს, მაგრამ ამით ეშველა მიწასთან გასწორებულ ლიბიას?

ობამას ქმედება (მონანიება) „დემოკრატიულობით“ აიხსნებაო – ბრძანეს ზოგიერთებმა. ვაი ასეთ დემოკრატიას!

2012 წლის არჩევნებში, რომ არა ციხის ვიდეოკადრები, ვიმეორებ, „ნაცები“ გაიმარჯვებდნენ, ანუ NDI-სა და IRI-ს ფავორიტები და იქნებოდა საქართველოში პრემიერ სააკაშვილის აღვირახსნილი ჯირითი.

ეს გამოკითხვები ხვალაც დაგვარწმუნებენ, რომ საქართველოს მოსახლეობის 70 ან მეტ პროცენტს მზე და მთვარე ნატოზე და ევროკავშირზე ამოსდისო, მოსწონს „ნაცები“ და „თავისუფალი დემოკრატებიო“, და შენც უნდა დაიჯერო. მეტი რა გზაა, მაგრამ ერთი გზაც არის – მას საზოგადოების პროტესტი ჰქვია. უპირველესად, „დაჩაგრული“ პოლიტიკური პარტიების მხრიდან არამკითხე NDI-სა და IRI-ს ისე მოხსენიება, როგორსაც ისინი იმსახურებენ. არავითარი კოჭის გაგორება. საქართველოს ხელისუფლების მხრიდანაც მტკიცე პოზიციაა საჭირო.

ცნობისთვის, ასე მოიქცა აზერბაიჯანის ხელისუფლება და ორივე ამერიკული ორგანიზაცია ქვეყნიდან მიაბრძანა. მაგრამ ჩვენ ამის თავი არ გვაქვს და რახან ასეა, უნდა შევეგუოთ ისეთ გამოკითხვებს, როგორსაც გვიტარებენ, არჩევით კი ხალხზე რეალურად მზრუნველი პოლიტიკოსები უნდა ავირჩიოთ.

**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
პოლიტოლოგი.

## მერია დაავადებულებს სამკურნალოდ აფინსებს

**თბილისის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის ინფორმაციით, მოქალაქეებისთვის აუცილებელი სხვადასხვა მოთხოვნის დასაფინანსებლად, 2016 წლის პირველ კვარტალში 3 864 135 ლარი გასცა. აქედან, საქართველოში სამკურნალოდ 3 491 195 ლარი გაიცა, ხოლო საზღვარგარეთ – 372 940 ლარი.**

**ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის სამედიცინო და სოციალური სერვისების ხელმისაწვდომობის ხელშეწყობის კომისიამ შემოსული 8 127 განაცხადიდან 8 049 მოთხოვნა ნაწილობრივ ან სრულად დააფინანსა. აქედან, 61 განაცხადი საზღვარგარეთის კლინიკებში სამედიცინო მომსახურების დაფინანსებას ეხება, საიდანაც 50 დაკმაყოფილდა.**

**დაავადებათა კლასის მიხედვით, მოთხოვნებიდან ყველაზე დიდი მაჩვენებელი სისხლის მიმოქცევის სისტემის დაავადებებზე მოდის და 2 614 შეადგინა, აქედან ნაწილობრივ ან სრულად დაფინანსდა – 2 611 და ბიუჯეტიდან 826 435 ლარი გაიცა, შემდეგ ადგილზეა ავთვისებიანი სიმსივნეები – 1 220, აქედან 1 210 შემთხვევა ნაწილობრივ ან სრულად დაფინანსდა და 1 104 551 ლარი გაიცა, მესამე ადგილზეა ძვალკუნთოვანი სისტემის და შემადგენელი ქსოვილების დაავადებები – 696 მოთხოვნა, ნაწილობრივ ან სრულად დაფინანსდა 692 განაცხადი და 410 689 ლარი გაიცა.**

**ქვეპროგრამის ფარგლებში კომისიაზე განხილული მოთხოვნებიდან ნაწილობრივ ან სრულად დაფინანსდა: 1 975 ოპერაციიდან – 1 932, მედიკამენტებზე 3 815 მოთხოვნიდან – 3 808, ამბულატორიულ მომსახურებაზე – 1129-დან – 1 121, სხივურ თერაპიაზე – 109 მოთხოვნიდან – 109“, – აცხადებენ მერიაში.**

# უცნობი გენერალისიმუსი...

## სტალინი. პირადი ცხოვრება




*ნიკოლოზ ვლასიკის ჩანაწერები*

### თეირანის კონფერენცია

**ჩვენი დელეგაცია გაჩერდა საბჭოთა საელჩოში, რომელსაც ეკავა დიდი ტერიტორია. იქ რამდენიმე შენობა და შესანიშნავი პარკი იყო. ტერიტორიას ირგვლივ გალავანი ჰქონდა.**

ინგლისის საელჩო, სადაც პრემიერ-მინისტრი ჩერჩილი გაჩერდა, ჩვენს საელჩოსთან ახლოს იყო. რაც შეეხება ამერიკულ საელჩოს, ის ქალაქის მეორე ბოლოში მდებარეობდა და იქამდე რომ მისულიყავი, ბევრი ქუჩა უნდა გაგევლო, რაც ძალიან საშიში გახლდათ. ვინაიდან თეირანში მაშინ არცთუ ცოტა ჯაშუში იყრიდა თავს და როგორც ჩვენთვის ცნობილი გახდა, მზადდებოდა თავდასხმა რუზველტზე, ამიტომაც ჩვენ მას საბჭოთა საელჩოში გადმოსვლა შევთავაზეთ.

რუზველტი დაგვთანხმდა.

ეს მისთვის, ჩვენთვისაც და ინგლისელებისთვისაც გაცილებით მოსახერხებელი იყო, ვინაიდან ყველას ქალაქში სახიფათო გადაადგილებებისგან ათავისუფლებდა.

თეირანში ყოფნისას სტალინმა მოინახულა ირანის შაჰი მუჰამედ რეზა ფეჰლევი თავის ნამდვილ ზღაპრულ ბროლის სასახლეში. ამ შეხვედრის გადაღება პირადად მე შევძელი.

ოცდაათ ნოემბერს ჩერჩილი სამოცდაცხრა წლის გახდა. ამასთან დაკავშირებით ინგლისის საელჩოში მოეწყო საზეიმო მიღება, რომელსაც სტალინი ესწრებოდა. მიღებაზე ბევრი ხალხი იყო, წარმოითქვა მრავალი სადღეგრძელო, რა თქმა უნდა, იყო ტრადიციული ღვეზელი და სამოცდაცხრა ანთებული სანთელი. ინგლისის მეფე გეორგ მეხუთის სახელით, გმირული სტალინგრადის მოსახლეობისთვის მახვილის გადაცემასთან დაკავშირებით, ჩატარდა საზეიმო ცერემონიალი. ჩერჩილმა მახვილი სტალინს გადასცა, სტალინმა მახვილი ქარქაშიდან ამოიღო, აკოცა, მადლობა გადაუხადა ჩერჩილს საჩუქრისთვის, რუზველტთან მივიდა და ხმალი აჩვენა. რუზველტის მიმართ სტალინი ძალიან თბილი და ყურადღებიანი იყო, ეტყობა, მასში იმ კეთილმოსურნეობას და გულწრფელობას აფასებდა, რასაც რუზველტი მთელი იმ მოლაპარაკებების დროს ამჟღავნებდა.

ერთხელ საბჭოთა საელჩოში გამართულ სადილზე რუზველტს საბჭოური შამპანური ძალიან მოეწონა და შეაქო, სტალინმა ეს დაიხსომა და სადილის შემდეგ დამავალა, შამპანურით სავსე ყუთი რუზველტისთვის გამეგზავნა.

თეირანის კონფერენციაზე ისევ მომიწია ფოტოკორესპონდენტის როლში ყოფნა. სხვა ფოტოკორებთან ერთად ის დიდი სამეული გადავიღე, რომლებიც პრესისთვის სპეციალურად პოზირებდნენ. ფოტოსურათები შესანიშნავი გამოვიდა და საბჭოთა კავშირის ყველა გაზეთში დაიბეჭდა.

ორ თებერვალს თეირანი დავტოვეთ, მშვიდობიანად დავბრუნდით მოსკოვში. მგზავრობისას, როგორც თვითმფრინავით, ისე უცხო ტერიტორიაზე ყოფნისას, იმ მშფოთვარე დროს ბევრი მღელვარება მომიწია, მაგრამ ჩვენი ქვეყნისა და ბელადის გამო, ბევრი სიხარული და სიამაყეც განვიცადე, როცა ვნახე, როგორი გატაცებით და ყურადღებით უსმენდნენ სტალინის გამოსვლებს, მის სიტყვებსა და აზრებს რუზველტი და ჩერჩილი, რა ბრძნულად და ტაქტიანად ეჭირა თავი ამ მძიმე მოლაპარაკებების დროს სტალინს.

დიახ, ძალიან დიდი იყო მისი ავტორიტეტი.

### ყირიმის კონფერენცია

**ყირიმის კონფერენციის დროს, რომელიც ათას ცხრაასორმოცდახუთ წელს იალტაში ტარდებოდა, სამივე დელეგაციას, რაც საჭირო იყო, ყველაფრით დაცვის მთავარი სამმართველო უზრუნველყოფდა. იმისთვის, რათა წესრიგში ყოფილიყო მოყვანილი როგორც შენობები და გზები, ისევე სატელეფონო კავშირები, დიდი შრომა იყო საჭირო. ყირიმი მტრისაგან, რომელიც ირგვლივ ყველაფერს ანგრევდა, ძალიან იყო დაზიანებული.**



რუზველტი და სტალინი. იალტა. 1945 წ.

დელეგაციები შემდეგნაირად განლაგდა:

ამერიკის დელეგაცია პრეზიდენტ რუზველტის მეთაურობით იალტაში ყოფილი ლივადიის სასახლეში მოეწყო.

ინგლისის დელეგაცია, რომელსაც პრემიერ-მინისტრი ჩერჩილი ხელმძღვანელობდა, ალუპკაში ვორონცოვის ყოფილ სასახლეში განთავსდა, ხოლო საბჭოთა დელეგაცია სტალინის მეთაურობით — კორეიზში, იუსუპოვის ყოფილ სასახლეში.

ვინაიდან, პრეზიდენტ რუზველტს ავადმყოფობის გამო გადაადგილება უჭირდა, გადაწყდა სხდომები ლივადიის სასახლეში ჩატარებულიყო. თეირანის კონფერენციიდან ორი წლის შემდეგ რუზველტი ძალიან იყო შეცვლილი — გამხდარს და ლოყებჩაცვივნულს ეტყობოდა, სერიოზულად იყო ავად, თუმცა ისევ თბილი, ხალისიანი და კეთილმოსურნე გახლდათ.

ყირიმში კონფერენციას ესწრებოდნენ საგარეო საქმეთა მინისტრები, შტაბების ხელმძღვანელები და მრჩევლები. იყვნენ ასევე მდივნები, დაცვა, საფრენესნო და მომსახურე შემადგენლობა. ყველაფერზე უნდა გეფიქრა, ყველა უნდა უზრუნველგეყო საკვებით, ტრანსპორტითა და ყველაფერ იმით, რაც ადამიანისთვის არის საჭირო, გაგეკეთებინა ორგანიზება მიღებების, საუზმეებისა და სადილებისათვის.

ამერიკელები და ინგლისელები სტუმრებს ჩვეულებრივად ძალიან პატარა ბუტერბროდებით უმასპინძლდებიან.

მართალია, ჯერ ისევ ომი იყო და პროდუქტი ძალიან ჭირდა, მაგრამ, გადავწყვიტე, სტუმრებს ჩვეულებრივზე დიდი ბუტერბროდებით გავმასპინძლდებოდი, მზარეულებს ვთხოვე, ბლომად წაესვათ კარაქი და ხიზილალა, თევზისა და ხორცის ნაჭრებიც გაცილებით დიდი ყოფილიყო. მართლაც, ჩემი ბუტერბროდების წარმატებამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა.

ყირიმის კონფერენცია რვა დღეს გაგრძელდა.

კომუნიკეზე ხელის მოწერის დროს სტალინის ავტოკალამს რაღაც რომ დაემართა და ჩემკენ მოტრიალდა, მე მას ჩემი კალამი გადავეცი და ხელი იმ ისტორიულ დოკუმენტს სწორედ იმ კალმით მოაწერა. აღნიშნულ კალამს აქამდე იმ მნიშვნელოვანი დღის სამახსოვროდ ვინახავ.

### ბერლინის კონფერენცია

**ომის გამარჯვების დამთავრების შემდეგ, სამი დიდი სახელმწიფოს მთავრობათა ხელმძღვანელების შეხვედრა ისევ შედგა, ამჯერად მესამედ.**

ბერლინის კონფერენცია ჩატარდა 1945 წლის 2 აგვისტოს, მაგრამ, სამწუხაროდ, რუზველტი უკვე აღარ ესწრებოდა ამ კონფერენციას — ამერიკის დელეგაციას მეთაურობდა აშშ-ის ახლად არჩეული პრეზიდენტი ჰარი ტრუმენი.

კონფერენციას ესწრებოდნენ სამივე ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრები — მოლოტოვი, ბირნე და ინგლისიდან იდენი. ესწრებოდნენ აგრეთვე შტაბების ხელმძღვანელები და მრჩევლები. კონფერენციის მოსამზადებლად წინასწარ პოტსდამში გაფრენა მომიწია.

კონფერენციას შინაგან საქმეთა სამინისტროსთან ერთად ვამზადებდი, ის შენობების მომზადებაზე იყო პასუხისმგებელი, მე — სხდომის საერთო დარბაზსა და დაცვაზე.

პირველი სხდომა 1945 წლის 17 ივლისს ჩატარდა. სხდომა მიმდინარეობდა პოტსდამთან ახლოს სესილიან-ფონ ბაბელსბერგის სასახლეში. ჩვენ ბაბელსბერგში ვცხოვრობდით.

ცხრა სხდომის შემდეგ კონფერენცია ორი დღით შეწყდა, ვინაიდან ამ დროს ინგლისში არჩევნები ტარდებოდა. კონფერენციის შემდგომ სხდომას პრემიერ-მინისტრ ჩერჩილის მაგივრად ახლად არჩეული პრემიერ-მინისტრი კლიმენტ ეტლი ესწრებოდა, ხოლო იდენის ნაცვლად, საგარეო საქმეთა ახალი მინისტრი ე.ბევინი.



ჩერჩილი, ტრუმენი და სტალინი ბერლინის კონფერენციაზე

ურთულესი საკითხების გადაჭრის, უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილების მიღებისას სტალინი თითოეულ ყოველდღიურ სხდომას ესწრებოდა, ყველა საკითხს, ყველა უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილების მიღებას დიდი ყურადღებით უსმენდა, თუმცა მიუხედავად იმისა, რომ იღლებოდა, ირგვლივ მყოფთა მიმართ ყოველთვის ერთნაირად ყურადღებიანი და თავაზიანი იყო. რომ გაიგო, პრეზიდენტ ტრუმენს მუსიკა უყვარსო, განკარგულება გასცა, ემილ გილელსი პოტსდამში მოეწვიათ. მართლაც, სტალინის რეზიდენციაში გამართულ შემდგომ მიღებაზე, რომელსაც ტრუმენი ესწრებოდა, სახელგანთქმულმა პიანისტმა ყველა იქ მყოფს უდიდესი სიამოვნება მიანიჭა.

სამივე კონფერენციამ უზადოდ ჩაიარა. ადგილი არ ჰქონია არავითარ გაუგებრობასა და არავითარ უსიამოვნო შემთხვევას. მთელი დაცვა, მეთაურებისა და ოფიცრების მთელი შემადგენლობა, მომსახურე პერსონალი და პირადად მეც, ორდენებით დაგვაჯილდოვეს.

თეირანის კონფერენციისთვის ლენინის ორდენით დამაჯილდოვეს, ყირიმის კონფერენციისთვის — კუტუზოვის პირველი ხარისხის ორდენით, ხოლო პოტსდამის კონფერენციისთვის ისევ ლენინის ორდენით.

### გამარჯვება

**მთელი ომის განმავლობაში იოსებ ბესარიონის ძე ძალიან დაძაბულად მუშაობდა, უხაროდა წარმატება და მტკივნეულად განიცდიდა წარუმატებლობას, ყურადღებით ადევნებდა თვალს, რა ხდებოდა ფრონტებზე, აკვირდებოდა და ღრმად გაანალიზებდა ყოველგვარ წვრილმანს.**

იმის გამო, რომ ჰქონდა უზარმაზარი ცხოვრებისეული გამოცდილება, შესანიშნავად ერკვეოდა სტრატეგიის საკითხებში, სხდომებზე ყოველთვის ყურადღებით უსმენდა სხვების აზრს და ყოველთვის აფასებდა ინიციატივას; ჰქონდა არაჩვეულებრივი მეხსიერება, რითაც ზოგჯერ განცვიფრებაში მოვყავდი და არა მარტო მე — მისი ფენომენალური მეხსიერებით ბევრი გაკვირვებული იყო.

ომის დროს სტალინი ფრონტზეც ჩადიოდა, მაგრამ კონსპირაციული მოსაზრების გამო, ასეთ შემთხვევებში მე მას არ ვახლდი, ვინაიდან, დარწმუნებულები იყვნენ, რახან ვლასიკი მოსკოვშია, ესე იგი სტალინიც მოსკოვშიაო.

იმ უმძიმე წლებში რომ ვაკვირდებოდი, როგორც უკვე გითხარით, მისი იმ შრომისმოყვარეობით, მართლაც ძალიან გაოცებული ვიყავი. ეძინა ძალიან ცოტა, იყო ძალიან დატვირთული, თუმცა უკვე საკმაოდ წლოვანი გახლდათ და ყოველივე ამას, რა თქმა უნდა, შეუძლებელია მის ჯანმრთელობაზე არ ემოქმედა.

ადვილი არ იყო არც თეირანის კონფერენციაზე წასვლა იმ გაგანია ომში, როცა ჩვენი არმიები სისხლისგან იცლებოდნენ, მარტო იბრძოდნენ პირისპირ ფაშისტური ურდოების წინააღმდეგ, შეპირებულ მეორე ფრონტს კი სულ იქით და იქით დებდნენ.

მიუხედავად ყველა ამ სიძნელისა, განსაკუთრებით ომის პირველ თვეებში, სტალინი არასოდეს დაეჭვებულა გამარჯვებაში.

1941 წლის 7 ნოემბრის წინადღეს გაიგო, რომ მისი ბიბლიოთეკა კუიბიშევში გადავიტანე და სრულიად დარწმუნებულმა მითხრა:

— შენ ეგრე ტყუილად მოიქეცი — მოსკოვს ჩვენ არასოდეს არ დავთმობთ!

მახსოვს, როგორ გამახარა მისმა ამ სიტყვებმა, რა შესანიშნავ გუნებაზე დავდექი. მაშინ როცა მტერი მოსკოვის გარეუბანთან იყო მომდგარი, ჩვენს ბელადს სჯეროდა და თავდადებული იბრძოდა თავისი საქმისათვის, ამ ბრძოლას მთელ თავის ძალასა და ენერგიას ახმარდა, თავს წუთითაც არ ზოგავდა. საბედნიეროდ, მის ამ თავდადებულ შრომას ამაოდ არ ჩაუვლია.

(გაგრძელება იქნება)

დასაწყისი იხ. № 65-72

# წერილები მაგნოლიების ქალაქიდან

## ყოჩალი ფაშის ამბავი

**ქედის რაიონის სოფელ ცხმორისის ძველ სასაფლაოზე, ერთი საფლავის მარმარილოს ქვას ოსმალურად აწერია „ყოჩალი ფაშის შვილი ხუსეინ ფაშა,“ ჰიჯრით 1160 წელი. ახალი წ.ა. უდრის 1742 წელს.**

ვინ იყო ყოჩალი ფაშა, რომლის სახელი მისი ვაჟის საფლავის ქვაზე წარწერამ შემოგვინახა?

2005 წელს ქედის რაიონის სოფელ ცხომისში ბათუმის შოთა რუსთაველის უნივერსიტეტის სტუდენტ ხათუნა ნაკაშიძეს ინფორმატორ, 65 წლის პედაგოგ ზაურ თებიძისაგან ჩაუწერია საინტერესო და მნიშვნელოვანი ინფორმაციის შემცველი თქმულება. იგი დაცულია ქართული ფოლკლორის აჭარული ნიმუშების ცნობილი მკვლევარის ნანული ნოღაიდელის პირად არქივში.

თქმულების დედააზრია თურქული ოკუპაცია აჭარაში და მოსახლეობის უმტკიცესი წინააღმდეგობა, ქართველობის გმირული სული და თავდადება მამულისათვის. ბევრი მცდელობის მიუხედავად, ოსმალები მიხვდნენ, რომ ქართველთა ბრძოლით დამორჩილება შეუძლებელი იყო. სულთანს უთქვამს, არ არსებობს ძალა, რომლის გატეხა არ შეეძლოს ხმალს, სარწმუნოებასა და ფულს. პირველი ორი გამოვცადეთ, მაგრამ შედეგი არ ჩანს. ახლა ჯერი მესამისაა. ფული, მართალია, ღმერთი არ არის, მაგრამ ზოგჯერ ღმერთზე უფრო დიდი ძალა აქვსო. ამიტომაც ნაცად ხერხს მიმართა. ცხმორიში ცხოვრობდა ფულისა და ფუფუნების მოყვარული და ხალხში უაღრესად გავლენიანი ყოჩალი ბასილაძე. წუწკი და არამზადა დიდძალი ოქროს ფასად სულთანმა მოისყიდა და ფაშობა უბოძა. იგი სულთნის საიმედო დასაყრდენი გახდა. როცა აჭარაში ფეხი მოიმაგრა, სულთანმა საშინაო პრობლემების გადაჭრა ყოჩალ ფაშის ხელით მოინდომა. იგი თავისთან იხმო და შინაური მეამბოხეების ალაგმვა დაავალა. ყოჩალი ფაშამ დავალება ფრიადზე შეასრულა. ერთგული ფაშა სულთანმა თავისთან დაიტოვა და ძალიან მაღალი ჯამაგირიც დაუნიშნა. სამშობლოს მოღალატე ფაშა სულთნის სამსახურში ყელამდე ჩაეფლო და ძალიან გამდიდრდა. თავის მეუღლეს ხათუნა ბასილაძეს ოჯახში ყოველთვიურად 1500 ალთუნს (ოქროს) უგზავნიდა. შინ დატოვებულ ცოლს, ცხადია, თურქული ალთუნი მეუღლეობას ვერ გაუწევდა. ამიტომაც ქმარს სტამბოლში ასეთი ლექსი გაუგზავნა:




**„ფაშავ, ნუ მწერ თათრულსაო,**
**ჩემსას უგდე ქართულსაო,**
**კაცად კაცი მირჩევნიხარ,**
**ათას ხუთას ალთუნსაო.**
**სულთანს უთხარ , მოვენატრე**
**ცხმორისსა და ბათუმსაო,**
**თელ ქვეყანას ურჩევნია**
**იმის ფაშა ხათუნსაო.**
**შინ ჩამოდი, ასე გიჯობს,**
**სხვის ლაშქარში პანტურსაო,**
**თორემ , ბოლოს, სხვა დაუკრავს,**
**შენს დასაკრავ ფანდურსაო,**
**მერე ადექ და მოჰყევი**
**თათრის ალიბანდურსაო“.**

ამის გამგონე ქართველ ფაშას სულთანიც დაუგდია, მისი სამსახურიც და მაღალი ჯამაგირიც. ჩემმა ხათუნმა სირცხვილს არ გადამყაროსო, სამშობლოსაკენ მოუკურცხლავს.

დარწმუნებული ვარ, ციტირებული ლექსი, როგორც ობოლი მარგალიტი, ღირსეულ ადგილს დაიკავებს ქართული ხალხური შემოქმედების ანთოლოგიაში. იგი დაიბეჭდა 2014 წელს სამეცნიერო და მხატვრულ-პუბლიცისტურ კრებულში – „გამონათლევი“. ხალხური გენიის პოეტურმა გამონაშექმა დაკარგული შვილი დაუბრუნა სამშობლოს. დაილოცოს უფლის განგება, მხატვრული სიტყვისა თუ მეტაფორის ძალმოსილება. ორნახევარი საუკუნის წინანდელი ლექსი დღესაც მუშაობს. როგორც ვხედავთ, ძველი საუკუნეების ქართული პრობლემა დღესაც პრობლემად რჩება. დღესაც დასავლეთის „ხონთქრების“ კართან ხოჯის ჯოხივით აყუდებულმა მეგრანტია ქართველებმა უნდა წაიკითხონ ეს ლექსი. დღესაც საკმარისზე მეტი გვყავს საქართველოში ყოჩალი ფაშები. როგორც კი დაიძაბება პოლიტიკური ვითარება, თეთრ სახლსა თუ ბრიუსელში გარბიან საქართველოს ჩასაშვებად და ახალი „პატრონის“ საძიებლად. მათ ფანდურს კი სხვები უკრავენ. ეს ახლახან გასაჯაროებულმა საქართველოს შემარცხვენელმა „ფარულმა კადრებმაც“ დაადასტურა.

ხმლით ვერდამორჩილებული სისხლხორცეული ქართული მხარის მეზობელი სახელმწიფოს მიერ ფულით დაპყრობა დღესაც უმწვავესი პრობლემაა. აჭარის ხელისუფლებას კი ყურთბალიშზე ძინავს.

## თინათინის „კერასინი“ და გაბრაზებული კარასინი

**რუსეთის პირველი დიპლომატის მოადგილის სერგეი კარასინის ბოლო განცხადება ქართულ პოლიტიკურ წრეებსა და მედიაში მეხის გავარდნას დაემსგავსა. პირადად ჩემთვის, ეს მოულოდნელი არ ყოფილა.** იგი არც ძველია და არც ახალი, რაც ჩვენი ვაიპოლიტიკოსებისა და ვაიმინისტრების უვიცი და უცენზურო განცხადებების შედეგია. თავდაცვის ყოფილი და ახლანდელი მინისტრების ირაკლი ოქრუაშვილისა და თინა ხიდაშელის უგუნურმა განცხადებებმა ააყროლეს პოლიტიკური ჟანგბადი. პირველმა ბრძანა, რუსეთში ფეკალური მასებიც გაიყიდებაო, რის გამოც აგვისტოს ომი მივიღეთ და ქართული ტერიტორია დავკარგეთ, ხოლო მეორემ აშშ-ში თქვა – ბლოკადის დროს რუსები ვირთხებს ჭამდნენო. არ ვიცით, ამის გამო რა მოგველის. გასაკვირი ის უფროა, არც პირველი და არც მეორე განცხადების გამო, არც უმცირესობა, არც უმრავლესობა და არც მასმედია არ აღშფოთებულა. ყოველ შემთხვევაში, ამის საფუძველზე, ორივე მინისტრი, სულ ცოტა, გადაყენებას იმსახურებდა. ქალბატონ თინას ისევ დეპუტატი ჰგონია თავი და წაღმაუკუღმა ისვრის ძალიან სახიფათო და გაუწონასწორებელ განცხადებებს. თავდაცვის მინისტრი ქვეყნის პოლიტიკური



ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებების შემსრულებელია და განცხადებების კეთება მისი ფუნქცია არ არის. ამისთვის არსებობს საგარეო საქმეთა სამინისტრო. მაგალითად, რასაც ლავროვი იტყვის, მსგავსი არასოდეს არ წამოსცდება რუსეთის თავდაცვის მინისტრს. ზემოთ ხსენებული უცენზურო განცხადებებით შეურაცხყოფილია რუსი ხალხი, რაც დაუშვებელია. პოლიტიკას ხელისუფლება ქმნის და არა – ხალხი. თვით პუტინიც კი ქართველ ხალხზე მოზომილად და კორექტულად ლაპარაკობს. ბლოკადიან ლენინგრადში ვირთხებს არა მარტო რუსები, იქ მცხოვრები სხვა ხალხიც და, მათ შორის, ქართველებიც ჭამდნენ. ახლახან წავიკითხე 1929-1939 წლების პერიოდის ამერიკელი ბავშვის ჩანაწერები. მართალია, იქ ბლოკადა არ გამოუვლიათ, მაგრამ არანაკლები რეპრესიები განიცადა ხალხმა, ვიდრე 1937 წელს – სსრ კავშირმა. ამერიკელი ბავშვი წერს, რომ ბალახს ვჭამდითო. ქალბატონ თავდაცვის მინისტრს, მგონია, აღარ ახსოვს 1991-1992 წლებში ქართველი პუტჩისტების მთავარი იდეოლოგი რომ იყო მის მეუღლესთან და მთლიანად პარტიასთან ერთად. რუსი გენერლები და ჯარისკაცები, რუსული სამხედრო ტექნიკა იყო მათი მთავარი დამრტყმელი ძალა, კონსტიტუციური ხელისუფლების დამხობაში. მაშინ რატომ არ ამბობდა პატივცემული ქალბატონი, რუსები ვირთხებს ჭამდნენო?! ისე, კაცმა რომ თქვას, ეს კარასინიც კაი ვინმეა, რატომ ვერ ხვდება, რომ ყოფილი და ახლანდელი მინისტრების განცხადებები, რომლებიც ტყუპისცალებით გვანან ერთმანეთს, რუსეთის კი არა, საქართველოს წინააღმდეგ არის მიმართული. უფრო სამწუხარო ისაა, რომ ამას ვერც ჩვენი პოლიტიკოსები და ვერც მასმედია ვერ ხვდება. საკითხავია, ვის ინტერესებში შედის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის გამწვავება?! დღესავით ნათელია, რომ იგი ნაცმოძრაობისა და სააკოვის წისქვილზე უშვებს წყალს. როცა ვეფხვს წინ გადაუდგები, ლომი თუ არა, მგელი მაინც უნდა იყო და ზურგს უკან ორი-სამი ჯიქი უნდა გედგას. ამ დროს შენ კურდღელივით ბუჩქებიდან იჭყიტები. კარგად მახსოვს, აგვისტოს ომის დროს, ჩვენი ჩინოვნიკები და პოლიტიკოსები ვირთხებივით გარბოდნენ, ზოგი – სარფისკენ და ზოგი – წითელი ხიდისაკენ. რომ არა სარკოზის აქტიურობა, ღმერთმა იცის, სად იქნებოდნენ ახლა.

ქალბატონი თინა, ღმერთმა დაგვიფაროს, და ვითარება რომ გამწვავდეს, უკან მოუხედავად მოკურცხლავს საქართველოდან, მაგრამ ხალხმა რა ქნას?! არავინ დაინტერესებულა არც ხელისუფლებაში და არც მასმედიაში, რატომ შეხვდა საქართველოს თავდაცვის მინისტრი ლონდონში სააკაშვილის ლობისტებს კორსკისა და ბილდტს?! იქნებ „რუსთავი-2“-ზე წამყვანმა – პროკურორმა გიგაურმა უპასუხოს ამ კითხვას!

ძვირფასო მინისტრებო, დეპუტატებო, მასმედიავ, ცეცხლს ნუ ეთამაშებით. უცენზურო განცხადებებით ქვეყანა არასოდეს აშენებულა. დაქცევით კი არაერთხელ დაქცეულა და ჩვენს თავზეც გამოგვიცდია.

მოვუწოდებ ჩვენს ჩინოვნიკებს, აწი მაინც ცეცხლზე „კერასინს“ ნუღარ დაასხამენ. კარასინის გაბრაზება კიდევ არაფერი, მაგრამ რუსი ხალხი თუ გაბრაზდა, მერე კარგად მეყოლეთ!

## კოალიციიდან ეკლექტური პარტიები კი არა – „ქართული ოცნება“ გავიდა

**კოალიცია „ქართული ოცნება“ დაიშალა. დაიშალამეთქი, ვამბობ, მაგრამ არც არასოდეს ყოფილან ერთიანი. ეს იყო ეკლექტური გაერთიანება, რომელიც მოქმედებდა „Лебедь, рак да щука“-ს პრინციპით. ახლა იძახიან, რომ რესპუბლიკელები გავიდნენ, მრეწველები გავიდნენ, ფორუმელები წავიდნენ და სხვა. არც ერთი არ არის მართალი, არც ერთი მათგანი არ გასულა. გავიდა მხოლოდ „ქართული ოცნება“ და ეს მოხდა კახეთში, დაბა კაჭრეთში, კოალიციის წევრების რესტორანში გაუხმაურებელ, მაგრამ მაინც გახმაურებულ შეხვედრაზე.**

როცა საკითხი დაისვა კოალიციის დაშლაზე, ზოგიერთი სუბიექტის და, კერძოდ, თინა ხიდაშელის წივილ-კივილი ბათუმშიც გავიგონეთ. როცა ბატონმა ბიძინამ ვერაფერი გააწყო, შეკრებილთ ბოდიში მოუხადა, 5 წუთით დაგტოვებთო. არ ვიცით, ზუსტად რამდენი წუთის შემდეგ შემობრუნდა, დამხვდურთ ძალიან მარტივად, ანუ ლაპიდარულად და სრული სიმშვიდით განუცხადა, ვისაც არ გინდათ კოალიციიდან გასვლა, დარჩით, ეს თქვენი ხელშეუხებელი უფლებაა, ჩვენ კი, „ქართული ოცნება“ გავდივართ და გაერთიანება ღმერთმა მშვიდობაში მოგახმაროთო. ეს ინფორმაცია, კახეთის იმ რესტორნიდან, რომელშიც შეხვედრა გაიმართა, ინკოგნიტო წყარომ მოგვაწოდა. ნამდვილად არ ვიცი, რამდენად სანდოა იგი. „ქართული ოცნების“ გასვლა კოალიციის უკითხვნიშნო დაშლას ნიშნავდა. შემდეგ გაისმა სუბიექტების ერთმანეთს მიდევნებული განცხადებები კოალიციის დატოვების შესახებ. ესენი არიან 1, 1,5 და 2-პროცენტიანი საარჩევნო სუბიექტები, რომლებიც ბატონი ბიძინას ავტორიტეტს აეკიდნენ და პარლამენტის მანდატები და თანამდებობები გაინაღდეს. ზოგიერთი „ქართული ოცნების“ წევრიც კი, მათ შორის ბათუმის მაჟორიტარი რესპუბლიკელი მ. დუმბაძე, მემარჯვენე დ. საგანელიძე სააკოვის სპეცსამსახურის მიერ ჩანერგილი იყვნენ ბატონ ბიძინასთან. ერთმა ბათუმის ოფისი გაინაღდა და მთლიანად აჭარას აკონტროლებდა, მეორეს კი „ქართული ოცნების“ ჯერ საარჩევნო შტაბის უფროსობა, ხოლო არჩევნების შემდეგ უმრავლესობის ლიდერობა ებოძა. ამ ორმა სუბიექტმა დუმბაძემ და საგანელიძემ ხულოში, ქედასა და შუახევში წაგვაგებინეს არჩევნები. ბატონი ბიძინასგან ფარულად შეძლეს, რომ აჭარაში საარჩევნო უბნებზე ჩვენი დამკვირვებლები, რომელთა მომზადებისთვის დიდძალი რესურსი დაიხარჯა, 1 ოქტომბერს უბნებზე არ დაუშვეს. თუ რა საჩუქარი მიიღეს ამ „სიკეთისათვის“ აჭარელი ნაცებისაგან, ცალკე საუბრის თემაა. დადიოდა ხმები, რაც მაშინ გულუბრყვილოდ არ მჯეროდა, ვარშალომიძის გუნდს ამისათვის სამასი ათასი ლარი გადაუხდია. სულ მალე საგანელიძე და დუმბაძე წაეკიდნენ ერთმანეთს. როგორც ჩანს, გაყოფაში მოუვიდათ „იაღლიში“. დუმბაძემ მალე ჩამოიხსნა ნიღაბი და გავიდა „ქართული ოცნებიდან“, რომელშიც რეალურად არასოდეს ყოფილა. იგი ა. ბერიძესთან ერთად ლობირებდა აჭარაში რესპუბლიკელების მაღალ პოსტებზე გაშვებას. ბატონმა მურმანმა, მართალია, გ. თავამაიშვილი გაამინისტრა, მაგრამ ბათუმის მერად რესპუბლიკელი პატარაია ვერ გაქაჩა. ხულოში კი „ქართული ოცნება“ რესპუბლიკელ ძირკვაძეს, მეტსახელად ჯოკრეს ჩააბარა. მიუხედავად ამისა, ინარჩუნებს ვიცე-სპიკერის სკამს, რაც პარლამენტის, „ქართული ოცნების“ და აჭარელი ამომრჩევლების შეურაცხყოფაა. რაც შეეხება ძვირფას საგანელიძეს, პარლამენტიდან გაუშვეს, მაგრამ ქერის ორმოში ჩააგდეს.

აჭარის უმაღლეს საბჭოშიც რესპუბლიკელები ორი კვოტით გავიდნენ – დარჩენილები და გაქცეულები. ჩემს თვალში მეტ პატივისცემას იმსახურებენ ბათუმელი რესპუბლიკელები, რომლებმაც არ დატოვეს თავიანთი პარტია. ეს მურმანის უნიჭო სპექტაკლი იყო. ზოგმა გაქცეულმა უკვე დატოვა უმრავლესობის ფრაქცია და პარტია „ქართული ოცნებაც“. რესპუბლიკელმა აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ ა. ბერიძემ ვერ დატოვა, თავმჯდომარის სკამის გულისათვის. მოვუწოდებ ბატონ გ. კვირიკაშვილს, აჭარის მთავრობის თავმჯდომარეს ა. ხაბაძეს, რომელიც ათეთრებს აჭარელ ნაცებს, არ დაუშვან აჭარის უმაღლესი საბჭოს არჩევნების „ქართული ოცნების“ პარტიულ-



პროპორციულ სიაში რესპუბლიკური პარტიიდან სპეცსამსახურების მიერ გადმონერგილი არც ერთი პირი. სხვა თემაა ისიც, რომ აჭარის „ქართული ოცნების“ რიგებში ჩაინერგნენ ალასანიას თანაპარტიელები. ახლო მომავალში ვისაუბრებ, თუ როგორ იდევნებიან აჭარაში „ქართული ოცნების“ გულმხურვალე აქტივისტები, მისი დამფუძნებლები და I ყრილობის დელეგატები. მაშინ როცა 2012 წელს ახლად არჩეული აჭარის მთავრობის 5 წევრიდან არცერთს „ქართული ოცნებისათვის“ ხმა არ მიუცია. კარგად მახსოვს, ბათუმის მერობის კანდიდატის გია ერმაკოვის საარჩევნო შტაბში შეხვედრა მოეწყო კახი კალაძესთან. დარბაზი ნაცებითა და იმ ხალხით იყო გატენილი, 2012 წლის არჩევნებში რომ გვებრძოდნენ, მ.შ. ისინიც, აგვისტოში ბეშუმში, შუამთობის დღესასწაულზე ბატონი ბიძინა რომ არ შეუშვეს. მგონი, იმ დარბაზში მეოცნებე მარტო მე ვიყავი.

მინდა, ვაუწყო ბატონ ბიძინას, რომ ჯერჯერობით აჭარაში „ქართული ოცნების“ ნამდვილი და გულმხურვალე წევრები ძალიან ცოტა დავრჩით, რომლებიც „ქართული ოცნების“ ბათუმის პარტიულ კონფერენციაზეც კი არ დაგვიშვეს.

კოალიციის დაშლა რევოლუციური სიახლეა. კოალიციის რიგი სუბიექტები, ბათუმიდანაც კარგად ჩანდა, რომ ხელს უშლიდნენ ბატონ ბიძინას პარტიულ მშენებლობაში. 1 ოქტომბრის არჩევნებში ისე მივედით, რომ რეგიონებში „ოცნების“ პარტიული ორგანიზაციები არ ჩამოყალიბდა. დარწმუნებული ვარ, „ქართული ოცნება“ დამოუკიდებლად რომ



გასულიყო 1 ოქტომბრის არჩევნებზე და რეგიონებს დროზე შეექმნათ პარტიული ორგანიზაციები, 100-ზე მეტი მანდატი ექნებოდა უმრავლესობას. გათეთრებული აჭარელი ნაცების შესახებ ცალკე ვისაუბრებ.

**შოთა ზოიძე.**

ბათუმი

**დასასრული ხვალის ნომერში**

◉ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# „აინარი“ მოითხოვს მორატორიუმის გამოცხადებას


Nujnaya Gazeta (Courtesy Photo)

**სოხუმში გაიმართა მიტინგი, რომელიც პარტია „აინარმა“ მოაწყო. შეკრებილებმა დაგმეს შაბათს მომხდარი ტერორისტული აქტი და მიმართეს პარლამენტს თხოვნით, მიიღონ მორატორიუმი უცხოეთის მოქალაქეებისათვის უძრავი ქონების მიყიდვაზე.**

მიტინგში, რომელიც სოხუმის ცენტრში გაიმართა, დაახლოებით 300 კაცი მონაწილეობდა. მისი მოწყობის ინიციატივით გამოვიდა პოლიტიკური პარტია „აინარი“, რომელიც აფხაზეთის იუსტიციის სამინისტროში არ არის დარეგისტრირებული, ხოლო მისი ერთ-ერთი წევრი დეპუტატი ალმას ჯაპუა არის უცხოეთის მოქალაქეებისათვის უძრავი ქონების მიყიდვის აქტიური მოწინააღმდეგე. 15 აპრილს მან პარლამენტში განხილვისათვის შეიტანა უცხოელი მოქალაქეებისათვის უძრავი ქონების მიყიდვაზე მორატორიუმის შესახებ კანონის პროექტი, 16 აპრილს კი სოხუმის სანაპიროს ცენტრში მისი მანქანა ააფეთქეს.

ბევრი გამომსვლელი ავტომანქანის აფეთქებას უკავშირებდა დეპუტატის წინააღმდეგობას კანონის მიღებასთან დაკავშირებით. კანონი ნებას რთავდა უძრავი ქონების მიყიდვას იმ პირებისათვის, ვისაც არა აქვს აფხაზეთის მოქალაქეობა, და საუბრობდნენ იმის შესახებ, რომ ინციდენტმა სანაპიროზე ხალხში გამოიწვია არა შიში, არა პანიკა, არამედ მისწრაფება — მხარი დაუჭირონ მორატორიუმს და იმ დეპუტატს, რომელიც ამას მოითხოვდა დაჟინებით.

სამეცნიერო და შემოქმედებითი ინტელიგენციის სახელით გამოვიდა აკადემიკოსი თეიმურაზ აჩუგბა, მან შეახსენა ორი განვლილი საუკუნის ისტორია და თქვა: **„ჩვენი ხალხი ასე ძლიერ დაზარალდა მეცხრამეტე, მეოცე საუკუნეებში, ჩვენ ასეთი შრომით მოვიპოვეთ დამოუკიდებლობა, ჩვენ ვალდებული ვართ, დავუტოვოთ ჩვენი მიწა ჩვენს შვილებსა და შვილიშვილებს. ამიტომ ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავაყენოთ საკითხი იმის შესახებ, რომ კვლავ ჩავასახლოთ აფხაზეთში უცხოელები“.**

მან წაიკითხა პარლამენტისადმი მიმართვის ტექსტი, რომელშიც საზოგადოებრიობა მოუწოდებს დეპუტატებს, „ალკვეთონ ნებისმიერი მცდელობა უცხოელი მოქალაქეებისათვის უძრავი ქონების მიყიდვის დაკანონების მცდელობის გამო“.

პარტია „აინარის“ თავმჯდომარემ თენგიზ ჯაპუამ მხარი დაუჭირა საზოგადოებრიობის მიმართვას: **„მოვუწოდებ ყველას, თავი დაანებონ წინააალმდეგობას და მიმართონ პარლამენტს თხოვნით, მიიღოს დროებითი მორატორიუმი კანონზე, რომელიც ნებას რთავს ამ ქვეყანაში უძრავი ქონების გაყიდვაზე არა იმიტომ, რომ ეს კანონი მიაჩნია მიუღებლად ჩვენი საზოგადოებისათვის, ჩვენ ერთად უნდა გადავდოთ ეს კანონი მხოლოდ იმიტომ, რომ ვერ მივედით ერთიან აზრამდე მასთან დაკავშირებით და არ ვიცით, კარგია იგი თუ ცუდი ჩვენთვის“.**

ჯაპუამ გაიმეორა თავისი არგუმენტები, რომელთა შესახებაც მას არაერთგზის განუცხადებია. თავად მორატორიუმის შესახებ მან თქვა: მასში არაა საუბარი რომ უძრავი ქონება არ უნდა გაიყიდოს არასოდეს, მასში არაა საუბარი, რომ ამის გაკეთება არასწორია. მასში ნათქვამია, რომ ჩვენ სახელმწიფოში არაა კანონების უამრავი ოდენობა, რის გარეშეც ამის გაკეთება შეუძლებელია. ჩვენ არ გვაქვს საცხოვრებელი კოდექსი, ურომლისოდაც მე არ ვიცი, თუ როგორ უნდა გაიყიდოს უძრავი ქონება, ჩვენ არ გვაქვს ქალაქის მშენებლობის კოდექსი, ჩვენთან არაკორექტულად ჩატარდა მოსახლეობის აღწერა, სადაც ყველა ციფრი არეულ-დარეულია. ჩვენთან არ მოწყობილა საცხოვრებელი ფონდის ინვენტარიზაცია. თქვენ იცით თუ, რა ხდება ამ საცხოვრებელ ფონდთან დაკავშირებით? თითქოსდა, უამრავი ბინაა, მაგრამ ისინი აღრიცხული არ არიან, არავინ იცის, თუ ვის ეკუთვნის ისინი, რა საფუძველზე და ასე შემდეგ...“

მიტინგზე მოსულმა მოქალაქეებმა მიიღეს მიმართვა და გაგზავნეს თავისი წარმომადგენლები პარლამენტში მოთხოვნით — დაუყოვნებლივ მოიწვიონ სესია და მიიღონ მორატორიუმი უძრავი ქონების გაყიდვასთან დაკავშირებით.

რამდენიმე საათის შემდეგ ალმას ჯაპუამ „ფეისბუქის“ სოციალურ ქსელში გამოაქვეყნა ცნობა იმის შესახებ, რომ პარლამენტი წყვეტს საკითხს პარლამენტის საგანგებო სესიის მოწყობის შესახებ უძრავი ქონების გაყიდვის გამო მორატორიუმის მიღებაზე.

მან მოუწოდა რესპუბლიკის ყველა მოქალაქეს, ვინც მხარს უჭერს აკრძალვას და შეშფოთებულია, პარლამენტის ზოგიერთი წარმომადგენლის სურვილის უქონლობით გადაწყვიტოს ეს საბედისწერო საკითხი, შეიკრიბოს პარლამენტთან და მხარი დაუჭირონ დეპუტატებს, რომლებიც გამოდიან სესიის დანიშვნისათვის სასწრაფოდ. მორატორიუმი მიღებული უნდა იქნეს სასწრაფოდ! — წერს მოუთმენელი დეპუტატი.

მოწოდებას შეიკრიბონ პარლამენტის კედელებთან, მხარი დაუჭირა სხვა დეპუტატმა თენგიზ აგრბამაც.

* * *

**მასალის მომზადების შემდეგ ცნობილი გახდა, რომ აფხაზეთის პარლამენტის შეკრებილმა დეპუტატებმა არ მიიღეს ალმას ჯაპუას წინადადება — კენჭი უყარონ მორატორიუმს უძრავი ქონების გაყიდვაზე. ამის შემდეგ ჯაპუამ დემონსტრაციულად მოიხსნა უფლებამოსილებანი, განაცხადა, რომ ასეთი პარლამენტის წევრობა მას არ შეუძლია.**

Эхо Кавказа

# დედამიწის ზურგზე



## იაპონიაში 44-მდე გაიზარდა მიწისძვრისა და მისგან გამოწვეული ზვავების მსხვერპლთა რიცხვი

ქვეყნის ხელისუფლებამ მიმართა ამერიკელ სამხედროებს დახმარებისათვის ჰუმანიტარული ტვირთის მიტანაში 100 ათასი კაცისთვის, რომლებიც დარჩნენ უსახლკაროდ და განთავსებული არიან საევაკუაციო პუნქტებში. მაგალითად, ქალაქ მიშიკიში 10 ათასი კაცი ცხოვრობს ავტომობილებში გაჩერებებზე, კუმამოტოში საავადმყოფოს წყლით ვოლონტიორები ამარაგებენ.

## ეკვადორში მიწისძვრის მსხვერპლთა რიცხვი 413-მდე გაიზარდა

230-ზე მეტი კაცი ითვლება უგზო-უკვლოდ დაკარგულად. დაჭრილთა რაოდენობამ 2000 გადააჭარბა. ნანგრევების გარჩევა გრძელდება. მაშველებმა და მეხანძრეებმა შეძლეს, ნანგრევებიდან ამოეყვანათ ხუთი ცოცხალი ადამიანი. ისინი ნანგრევებში თითქმის ორი დღე-ღამე იმყოფებოდნენ.

## დავუთოღლუმ ევროკავშირს ვადა მისცა ივნისამდე, რათა გააუქმოს სავიზო რეჟიმი თურქეთთან

თურქეთის პრემიერ-მინისტრი დარწმუნებულია, რომ მისი ქვეყანა შეასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობას მაისისათვის, ამიტომ უკვე ივნისში თურქეთის მოქალაქეებმა უნდა მიიღონ უვიზო რეჟიმი ევროპასთან. წინააღმდეგ შემთხვევაში დავუთოღლუ დაიმუქრა შეთანხმების დარღვევით.

## ობამამ შეახსენა პუტინს სირიის პრეზიდენტზე ზემოქმედების მნიშვნელობის შესახებ, იტყობინება თეთრი სახლი

ვაშინგტონის ვერსიით, ამერიკის შეერთებული შტატებისა და რუსეთის ფედერაციის ლიდერებმა სატელეფონო საუბრის დროს „დაადასტურეს ცეცხლის შეწყვეტის აუცილებლობა კონფლიქტის ყველა მხარიდან“. კრემლის ცნობაში საუბრის მიმდინარეობის შესახებ აღინიშნა, რომ პუტინმა აქცენტი გააკეთა სირიის ზომიერი ოპოზიციის სასწრაფო დისტანცირებაზე ექსტრემისტული დაჯგუფებებისგან.



## ალიასკაზე დათვი გრიზლი თავს დაესხა უნივერსიტეტის მასწავლებელს

შტატის სამხრეთ-აღმოსავლეთში ადგილობრივი უნივერსიტეტის მასწავლებელს თავს დაესხა დათვი, როდესაც იგი სტუდენტებს ალპინიზმის გაკვეთილებს უტარებდა. 35 წლის ფორესტ ვაგნერი 12 ახალგაზრდა კაცს ასწავლიდა, თუ როგორ უნდა შეუტიონ მთის მწვერვალებს, როდესაც მას თავს დაესხა დათვი თავის ბელებით.

## ქაბულის ცენტრში აფეთქება მოხდა. თალიბანმა ტერორისტული აქტი გამოაცხადა საგაზაფხულო შეტევის ნაწილად

თვითმკვლელმა ტერორისტმა აამოქმედა ბომბი, რომელიც ჩადებული იყო ავტომობილში უშიშროების სამსახურის ტერიტორიაზე. კიდევ რამდენიმე ბოევიკი ჩაერთო ბრძოლაში სამართალდაცვის ძალებთან. დაღუპულთა რიცხვს აზუსტებენ, დაიჭრა დაახლოებით 200 კაცი. თალიბანმა უკვე იკისრა პასუხისმგებლობა მომხდარზე.

## სახელმწიფო დეპარტამენტმა არ გამორიცხა ახალი სანქციების შემოღება ირანისთვის რუსული ს-300-ის მიწოდების გამო

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის პრესსამსახურის უფროსმა ჯონ კირბიმ განაცხადა, რომ ვაშინგტონი ყურადღებით ადევნებს თვალყურს რუსეთის მიერ ირანისათვის შეიარაღების მიწოდებას და არ გამორიცხა ახალი სანქციების შემოღებაც. ამასთან ერთად მან დააზუსტა, რომ ინფორმაცია ამერიკის ხელისუფლების ასეთი განზრახვის შესახებ მას არ გააჩნია.



◉ გაბრაზებული მოქალაქის წერილი

# მშველელს ველოდებით, მშველელს...

**ვუყურებ, ვუსმენ განვითარებულ მოვლენებს ქვეყანაში და საბოლოოდ გამომაქვს დასკვნა, რომ საქართველოს ვერ ეღირსა კეთილსინდისიერი, მზრუნველი, პატიოსანი ხელისუფლება, ნებისმიერ მიმართულებაზე დაწყებული, საკანონმდებლო აღმასრულებლით, გაგრძელებული სახელმწიფო ინსტიტუტებით და დამთავრებული საშუალო დონის ჩინოვნიკებით, ყველგან ღალატი სახელმწიფო ჩინოვნიკების დონეზე.**

მივყვეთ კონკრეტულ ფაქტებს და პიროვნებებს:



ყოფილი პრემიერი ღარიბაშვილი: უაღრესად ამპარტავანი, გამოუცდელი, ზედმეტად თამამი...

ფაქტები? მოსვლის პირველივე დღიდან, ჩემი აზრით, მან ჩაიდინა ეკონომიკური დანაშაული, როცა გაღლეტილი ქვეყნის პრემიერმა ქეშად, დაუკითხავად ხელფასები მოუმატა ხელისუფლებას, რითაც ასევე ქეშად იყიდა მთლიანად ხელისუფლება და მათ უკან მდგარი მთელი ჯარი ოჯახებისა, მანამდე კი თითქმის პირველსავე დღეს მოსვლისა ასევე ერთპიროვნულად გაათავისუფლა საკუთარი სიმამარი, თუნდაც ის ყოფილიყო უკანონო პატიმარი.

კიდევ უფრო გაამძაფრა ზიზღის ენით ურთიერთობები, როცა პირველ რიგში ანტაგონისტური, ლამის ცხელი ომი გამოუცხადა პრეზიდენტს, ისედაც უფლებაშეზღუდულს, მთლად გაუნულა უფლებები, ხელმოწერებიც კი საპრეზიდენტო თვითონ მიიტაცა და დაიწყო სააკაშვილის მსგავსი სიცრუეებით ყელყელაობა საერთაშორისო უმაღლესი ტრიბუნებიდან — „საქართველოში ყვავის დემოკრატია“ „საქართველოში დამკვიდრებულია კანონის უზენაესობა“... არა და ყველაფერი პირიქით მოხდა: სააკაშვილის მიერ დამკვიდრებული დანაშაულებრივი ქმედებები, ღარიბაშვილმა კიდევ უფრო გააღრმავა და კანონის რანგში აიყვანა, ერთ-ერთი მსხვერპლი ღარიბაშვილის დანაშაულებრივი ქმედებებისა ვარ მე, მოხუცი, ავადმყოფი, 85 წლის, 47-წლიანი შრომის სტაჟით, უმწეოთა რეიტინგით — ქართლოს ზაქარეიშვილი. ადამიანი, რომელმაც ამ ხელისუფლებას სესხად მივეცი ჩემი ხელფასიდან ნაგროვები თანხა ობლიგაციების სახით, რაც არმოგების შემთხვევაში 2002 წელს უნდა დამბრუნებოდა. სააკაშვილმა ეს თანხები თავის ფავორიტებს დაურიგა, 2003 წელს, მაგალითად, მაია ნადირაძეს, ბესო ჯუღელს და სხვა მრავალს, ხოლო ხულიგან გივია თარგამაძეზე ხელთ მაქვს დოკუმენტი გაზეთ „ალიას“ მიერ მოპოვებული, რომლითაც ამ ბიჭმა მიიღო 82 ათასი ლარი... ის დანაშაულებრივი ქმედება ღარიბაშვილმა ინსტიტუციური გახადა იმიტომ, რომ მასაც მისცემოდა თავისი ფავორიტებისთვის მსგავსი თანხების გასტუმრების შესაძლებლობა, მე კი ვერც ერთი კრიმინალის ფავორიტი ვერ გავხდი.

თანახმად ეროვნული ბანკის მიმართ ორგანული კანონის 69 მუხლისა, ყოველწლიურად ბიუჯეტიდან გამოიყოფა თანხები ამ მიზნებისთვის, 2016 წელსაც შიდა ვალის დაფარვის მიზნით გამოყოფილია 130 მლნ. ლარი, მე კი 10 წელზე მეტია, ვიბრძვი ჩემი ვალის მისაღებად და უშედეგოდ, არა და ეს თანხა განსხვავებით სხვებისა, რომელთა ანაზღაურებაზეც ხელისუფლება მუშაობს, არის საკრედიტო ხაზით წასული და არა კომერციულით ან სხვა საეჭვო მიმართულებებით. ამ საქმეში და ბევრ სხვაშიც უდიდესი წვლილი მიუძღვის დღესაც ღარიბაშვილის ხელის ბიჭს ნოდარ ხადურს.

დღეს კი ტელევიზიით ვრცელდება ინფორმაცია, NDI-ის კვლევის შედეგები, „ხალხის განწყობა საქართველოში“, ამის შემდეგ თავი სად გამოგეყოფათ ხელისუფლებას, ყველა, აბსოლუტურად ყველა მიმართულებაზე, რომ ხალხის უმრავლესობის ნეგატიური დამოკიდებულება „მოიპოვეთ“ საქართველოში არსებულ სინამდვილეზე. თქვენ მაინც ახერხებთ და ყელყელაობთ ტელევიზიით, რაღაც უკბილო გამამართლებელ არგუმენტზე ლაპარაკობთ, ვერ გამიგია, რომელ სახელმწიფო ზრუნვაზეა ლაპარაკი საქართველოში, როცა ზრუნვა კი არა, პირიდან აცლით ლუკმას ისედაც ულუკმაპუროდ დარჩენილ მოსახლეობის 90%-ს.

ერთადერთი ფაშისტური ორგანიზაცია მსოფლიოში, ქართველი ნაციონალი ნაცისტები, მოახერხეთ და ისე წამოისვით თავზე, რომ, მიუხედავად ხალხის წყალობით მათი ხელისუფლებიდან იზოლირებისა, დღეს უდიდეს საშიშროებას წარმოადგენენ საზოგადეობისთვის, რაღა თქმა უნდა, ოცნებასთან ტანდემში. წარმოგიდგენიათ, ისინი რომ დაბრუნდნენ ხელისუფლებაში!

თითქმის ყოველი კვირის ან 10 დღის ინტერვალით ტელევიზიით ვრცელდება ინფორმაცია, რომ ამა და ამ აღმასრულებელ, საკანონმდებლო თუ რომელიმე ადგილობრივი მმართველობის ინსტიტუტმა დროის გარკვეულ მონაკვეთში პრემიებსა და დანამატებზე ასევე ძვირად ღირებულ მანქანებზე და სხვა ფუფუნების საჭიროებებზე დახარჯა ათობით და ასობით მლნ. ლარი, ამის შემდეგ იწყება „თაგვების კრება“, რა იღონონ, რომ კატა გახადონ უსაშიშო და აღარ განმეორდეს მსგავსი რამ. მაგრამ ვერ პოულობენ, ვინ შეაბამს კატას ეჟვანს, ასე მეორდება სააკშვილიდან მოყოლებული დღემდე.

ეხ, რამდენია კიდევ უკუღმართობა, მაგრამ ქაღალდი არ მყოფნის მეტი, ვერ ვიყიდე და გადავწყვიტე ამჯერად ამით დავამთავრო, თუმცა არა, ერთ მომენტზე მინდა, მაინც შევაჩერო მკითხველის ყურადღება.

სამარცხვინო ამბავი მჭირს — საერთოდ დაყაჩაღებული ვარ ხუთი მიმართულებით, თუმცა, სამარცხვინო ის არის, რომ დამლაგებელმა დამაყაჩაღა, პიროვნებამ, რომელიც კათარზისიდან გამოვიყვანე და ისეთი რეკომენდაცია ჰქონდა, ქვას გახეთქავდა, ჯერ იყო და პენსია წინასწარ გამომატანინა 3 თვის, ხუთი თვის უნდოდა, მაგრამ მე არ დავთანხმდი. შემდეგ რაღაცაზე გამიბრაზდა და შემომითვალა, აღარც მოგემსახურები და არც ფულს დაგიბრუნებო (ეს მოხდა ორი თვის ვაისამსახურის შემდეგ). ახლა კი, როცა დრო გავიდა, შემომითვალა, რომ მე სრულიად ამოვწურე ჩემი სამუშაო ვადაო. ეს ქალბატონი გახლავთ ნანა ზამბახიძე და, ბოლოს, საინტერესო დასასრული, ძველი თბილისის პოლიციის მე-5 განყოფილების თანამშრომელმა რუსლან მგელაძემ, მგონი, თაღლითობის დანაშაულში მე მამხილა და ქალბატონი ნანა ანგელოზად გამოიყვანა, აი, სამართალი ზევიდან ქვევით და ქვევიდან ზევით, ეს გახლავთ აბსოლუტური ჭეშმარიტება.

ისე ვინმე სერიოზული კანონდამცველი იქნებ დაინტერესდეს და მოიკვლიოს, მე თვითონ ვარ თაღლითი და ინტრიგანი, თუ ის?! ძალზედ საინტერესო დასასრული, ალბათ, მელის მე, „ინტრიგან“ ქართლოს ზაქარეიშვილს.

**ქართლოს ზაქარეიშვილი**

◉ დღეს — ხვალისთვის

# ქართლის ხილს განა რა სჯობს!..

**არა მხოლოდ ეკონომიკურად მომგებიან, არამედ დიდი საზოგადოებრივი, ზნეობრივი, სულიერი, გნებავთ პოლიტიკური მნიშვნელობის შარშან დაწყებულ პროგრამაზე „დანერგე მომავალი“, რომელიც სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინიციატივით ხორციელდება, წლეულს 5 მილიონი ლარი დაიხარჯება.**

პროგრამის „დანერგე მომავლის“ მიზნია საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტში (თბილისის, ბათუმის, ფოთის, რუსთავისა და ქუთაისის გარდა) სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების მიზნობრივად გამოყენების, მრავალწლოვანი ბაღების გაშენებისა და სანერგე მეურნეობის ქსელის გაფართოების მაქსიმალური ხელშეწყობა.

მის ფარგლებში, მეურნე სუბიექტის სახელმწიფოს თანადაფინანსება შემდეგი მოცულობით განხორციელდება:

**1. თუკი იგი მრავალწლოვან ბაღს გააშენებს, სახელმწიფო მისი ღირებულების 70 პროცენტსა და წვეთოვანი სარწყავი სისტემის ღირებულების 50 აპროცენტს დააფინანსებს;**

**2. სანერგე მეურნეობის მოწყობის შემთხვევაში კი სახელმწიფო მის შესაქმნელად საჭირო სახსრების ნახევარს გაიღებს.**

აღსანიშნავია ისიც, რომ არსებული გეგმის შესაბამისად, პროგრამის განხორციელების პროცესში თანამედროვე ტიპის ხეხილის ბაღები დაახლოებით 1000-1200 ჰექტარზე უნდა გაშენდეს, ამასთან ასევე 30-40 ახალი, თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი სანერგე მეურნეობაც გაიმართოს.

ზემოთ ის გარემოება აღვნიშნეთ, რომ სხვა დადებით ასპექტებთან ერთად, პროგრამას „დანერგე მომავალი“ გარკვეულწილად სერიოზული პოლიტიკური და მორალური დატვირთვაც აქვს. საქმე ის არის, რომ აღნიშნული პროგრამის სათაო ორგანიზაციის, კერძოდ, კი სოფლის მეურნეობის სამინისტროს სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს განცხადებით, **შიდა ქართლში ახალი ხეხილის ბაღები საოკუპაციო ხაზის გასწვრივ 430 ჰექტარ ფართობზე გაშენდება.**

პროგრამამ ქვეყნის სოფლის მოსახლეობის დიდი ინტერესი გამოიწვია — 84 ბენეფიციარმა უკვე მიიღო სამუშაოთა საწარმოებლად საჭირო სახსრების პროგრამით გათვალისწინებული წილი, მთლიანად 2 მილიონ 881 ათასი ლარი. მათ შორის, უშუალოდ საოკუპაციო ხაზის მიმდებარე შიდა ქართლის სოფლებში, პროექტ „დანერგე მომავლის“ ფარგლებში, თექვსმეტმა ბენეფიციარმა ხეხილის ბაღები უკვე გააშენა 74 ჰექტარზე. მთლიანად კი შიდა ქართლის მხარეში, მათ შორის, გორის, ქარელის, კასპისა და ხაშურის რაიონებში, წლის დასრულებამდე ვაშლის, ატმის, ბლის, ნუშისა და ქლიავის ბაღები გაშენდება.

ხშირად გვქონია საუბარი იმის თაობაზე, რომ აუარება მტკნარი წყლის პატრონ ქვეყანაში უწყლობის პრობლემა წლების მანძილზე არა მარტო ცალკეულ სოფლებს, არამედ მთელ მხარეებსაც უდგათ და ამ მხრივ გამონაკლისს არც შიდა ქართლი წარმოადგენს. ამიტომაც, პროგრამის „დანერგე მომავლის“ ერთ-ერთი მეტად საგულისხმო კომპონენტია სარწყავი სისტემის მოწესრიგება, რომელიც დიდად დაზარალდა 2008 წლის რუსეთის მიერ საქართველოს მიმართ განხორციელებული აგრესიის შედეგად და რომლის მნიშვნელოვანი ნაწილი ამჟამად ცხინვალის რეგიონის ოკუპირებულ ტერიტორიაზეა.

თუკი პროგრამის სხვა დადებით ელემენტებსაც მივაქცევთ ყურადღებას, ბუნებრივია, ითქვას, რომ ადგილობრივი იაფიანი, სხვადასხვა დასახელების ხილის გაჩენა ბაზარზე უცხოურ იმპორტულ საქონელს დიდ კონკურენციას გაუწევს, რაც ქვეყნიდან ვალუტის გადინებას გარკვეულწილად შეამცირებს, მეორე მხრივ, ხარისხიანი პროდუქცია სამამულო მეხილეების საექსპორტო პოტენციალს აამაღლებს.

**ოთარ ტურაბელიძე**

# რა ხდება რიკოთის უღელტეხილზე?



**რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილემ ირაკლი ხერგიანმა რიკოთის საუღელტეხილო მონაკვეთზე პერიოდული შეკეთების სამუშაოები დაათვალიერა.**

**საერთაშორისო მნიშვნელობის თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის აღნიშნული მონაკვეთის გასწვრივ მჭიდროდ დასახლებული სოფლები: ხევი, ხუნევი, ვერტყვიჭალა, ბორითი, უბისა, შროშა, წევა და შორაპანია განლაგებული. პროექტით განსაზღვრულ მონაკვეთზე მოეწყო გზის საფუძველი და რეაბილიტაცია ჩაუტარდა ასფალტ-ბეტონის საფარს. ასევე, დამონტაჟდა წყალგამტარი მილები, კიუვეტები, გაბიონები, გზის საყრდენი კედლები და საგზაო ნიშნები.**

**პროექტი დასასრულს უახლოვდება და დარჩენილია მხოლოდ, გზის ჰორიზონტალური მონიშვნის სამუშაოები. სამუშაოები სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსდა და მისი ღირებულება 359 000 ლარია.**

# გზა მახათაზე

**სამებისა და მახათის მთაზე მშენებარე ივერიის ღვთისმშობლის ტაძრების დამაკავშირებელ 2 კმ სიგრძის გზას, თბილისის მერიის დაკვეთით, შპს „სახელმწიფო სამშენებლო კომპანია“ აშენებს. პროექტის მიხედვით, ახალ გზაზე ორფენიანი ასფალტბეტონის საფარი დაიგება, საფუძვლის წვიმისგან დასაცავად, გზის ერთ ნაწილში, რომელიც დასახლებულ ტერიტორიაზე გადის, გაკეთდება სანიაღვრე ქსელი, ჩაიდება მილები, მოეწყობა ჭები და დაერთებები წყალმიმღებ არხებთან, გზის მეორე ნაწილში კი — რკინაბეტონის კიუვეტი ჩაშენდება.**

**რეგიონული განვითარებისა და ინრასტრუქტურის სამინისტროს ინფორმაციით, ამ ეტაპზე მიმდინარეობს გზის საფუძვლის მოწყობის სამუშოები: გზის გაფაროების მიზნით, მოიჭრა 8840 კბ.მ მთის ფერდობი, მოიჭრა და მოსწორდა მიწის გრუნტი, დაიყარა და მოსწორდა ფრაქციული ქვა-ღორღი, მიმდინარეობს რკინაბეტონის კიუვეტებისა და ბორდიურების მოწყობა.**



**სტრატეგიულად მნიშვნელოვანი გზა, რომელიც თბილისის ისტორიულ უბანს, ავლაბარს მახათას მთასთან დააკავშირებს, არა მარტო მოძრაობას განტვირთავს, არამედ, უამრავი ვიზიტიორისა და ტურისტისთვის გადაადგილებას კომფორტულს გახდის. ახალი გზის მშენებლობა 2016 წლის თებერვალში დაიწყო და ივნისში დასრულდება.**

ძიუდო

# ხვალიდან — თათრეთის დედაქალაქში




**21-24 აპრილს რუსეთის ქალაქი ყაზანი ძიუდოისტთა ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლებს. საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ირაკლი უზნაძემ აღნიშნულ ფორუმზე წასაყვანი შემადგენლობა, ასევე ის ძიუდოისტები დაასახელა, რომლებიც ნაკრებს ინდივიდუალური პირველობის დასრულების შემდეგ გუნდურ შეჯიბრებაში დაემატებიან. გუნდურ ტურნირში ნაკრებს დაემატებიან გიორგი პაპუნაშვილი (-81კგ) და პაატა ღვინიაშვილი (-90კგ).**

21-24 აპრილი. ყაზანი, რუსეთი. ევროპის ჩემპიონატი

**საქართველოს ვაჟთა ნაკრები:**

-60კგ — ამირან პაპინაშვილი,
-66კგ — ვაჟა მარგველაშვილი,
-73კგ — ნუგზარ ტატალაშვილი, ლაშა შავდათუაშვილი,
-81კგ — ავთანდილ ჭრიკიშვილი,
-90კგ — ვარლამ ლიპარტელიანი,
-100კგ — ბექა ღვინიაშვილი,
+100კგ — ადამ ოქრუაშვილი, ლევან მატიაშვილი.

**საქართველოს ქალთა ნაკრები:**

-48კგ — ოლგა ალადოშვილი,
-52კგ — მარიამ ჯანაშვილი,
-57კგ — სალომე აბაშიძე,
-70კგ — ესტერ სტამი.

**21 აპრილი**
-48კგ, -52კგ, -57კგ, -60კგ, -66კგ.
**წინასწარი შეხვედრები 14:00, ფინალური ბლოკი 18:30.**

**22 აპრილი**
-63კგ, -70კგ, -73კგ, -81კგ.
**წინასწარი შეხვედრები 13:00, ფინალური ბლოკი 18:30.**

**23 აპრილი**
-78კგ, +78კგ, -90კგ, -100კგ, +100კგ
**წინასწარი შეხვედრები 14:00, ფინალური ბლოკი 18:30.**

**24 აპრილი**
**გუნდური შეჯიბრი.**
**წინასწარი შეხვედრები 13:00, ფინალური ბლოკი 17:30.**

**კობა კობახიძე**

კალათბურთი

# მონატრებული დაბრუნება

**20-წლიანი პაუზის შემდეგ დამოუკიდებელი საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული საკალათბურთო კლუბი „კაქტუსი“ ეროვნული ჩემპიონატის უმაღლეს ლიგას დაუბრუნდა.**

გუშინ ახალ სპორტის სასახლეში გამართულ გადამწყვეტ მატჩში არჩილ ჟღენტის გაწვრთნილმა გუნდმა ქვეყნის 7-გზის ჩემპიონი „ვითა“ დაჯაბნა — 83:63 და გაისად სუპერლიგაში ითამაშებს.

**ყველაზე შედეგიანები:** ჰენრი — 22, უილიამსი — 21 („კაქტუსი“), ჯონსი — 21 ქულა („ვითა“).

შეგახსენებთ, რომ „მწვანეთა“ წინამორბედი „მართვე“ ცხონებულმა თამაზ ოქრუაშვილმა დააფუძნა, ხოლო მოგვიანებით, უკვე ახალი სახელით, რამდენჯერმე ჩვენი პირველობის პრიზიორი გახდა და ეროვნულ ნაკრებს მსუყე შევსებაც მისცა.

**ბადრი იაშვილი**

# ფაჩულიამ და „დალასმა“ ოკლაჰომაში იმარჯვეს

**პირველ მატჩში 38 ქულით წაგებისა და პირადსაკლუბო ანტირეკორდების დამყარების შემდეგ დალასელებმა სამაგალითოდ იბრძოლეს, ბობოქარ „ტანდერს“ მისსავე გულშემატკივრებით სავსე ტრიბუნების წინ არაფერი დაუთმეს და ოკლაჰომა სიტიდან გამარჯვება წამოიღეს.**



დრამატულ მატჩში ზაზა ფაჩულიას გუნდმა საამაყო გამარჯვება მოიპოვა. ამ მოგებამ დალასელებს მოედნის უპირატესობა მოუტანა, სერიაში ანგარიში გათანაბრდა — 1:1 და მომდევნო 2 შეხვედრა დალასში 22 და 24 აპრილს გაიმართება.

მატჩი ძალიან დაძაბული იყო, რომლის ფინალური წუთებიც დრამატიზმით სავსე გამოდგა. შეხვედრის დასრულებამდე 6 წუთით ადრე მასპინძლები 78:71 იგებდნენ, თუმცა, ტეხასელები არ დანებდნენ და ვესლი მეთიუზის, სალაჰ მეჯრის და რეიმონდ ფელტონის ქულებით 79:78 დაწინაურდნენ. ამის შემდეგ შეხვედრა ქულა-ქულაში გაგრძელდა და საფინალო სირენამდე 14 წამით ადრე მეთიუზის ორქულიანით დალასელები 85:81 გალიდერდნენ.

დასრულებამდე 9 წამით ადრე კევინ დიურანტი სამქულიანით მინიმუმამდე ამცირებს ჩამორჩენას, ფელტონი კი საპასუხო შეტევაში ორივე საჯარიმოს აცილებს და ოკლაჰომელებს 7 წამი რჩებათ. სწრაფ შეტევაში ჯერ დიურანტს უფარებს დალასელი ჯასტინ ანდერსონი, თუმცა, ბურთს რასელ ვესტბრუკი ეუფლება და ისიც აცილებს. მესამე ცდა, რომელიც სტივ ადამსმა შეასრულა, წარმატებული აღმოჩნდა და საფინალო სირენის შემდეგ ოკლაჰომელები გამარჯვებას ზეიმობდნენ. ზეიმი ხანმოკლე აღმოჩნდა, რადგან ვიდეოგადახვევამ აჩვენა, რომ სტივ ადამსს ბურთი ჯერაც ხელში უჭირავს, საფინალო სირენა რომ გაისმის.

ქართველმა ლეგიონერმა გამარჯვებაში საკუთარი წილი დაიდო. ზაზა ფაჩულია ძირითადად დაცვითი კუთხით გამოირჩეოდა და მეტოქე ცენტრებს ზღუდავდა. ის სასტარტო ხუთეულში იყო და მოედანზე 20 წუთი გაატარა, რის განმავლობაშიც 6-დან 1 ორქულიანი ჩააგდო და შეხვედრა 2 ქულით, 6 მოხსნით და 1 ჩაჭრით დაასრულა. დალასელთა მეორე ცენტრი, ტუნისელი სალაჰ მეჯრი მოედანზე 28 წუთი იმყოფებოდა და თავი 12 ქულას მოუყარა. ყველაზე შედეგიანი ფელტონი გახლდათ 21 ქულა — 11 მოხსნით, დირკ ნოვიცკის ანგარიშზე კი 17 ქულა დაგროვდა.

რეგულარულ ჩემპიონატში გალაღებულმა „ოკლაჰომას“ ლიდერებმა დიდი ვერაფერი შედეგიანობა აჩვენეს. დიურანტმა 21 ქულა და 9 მოხსნა მოაგროვა, რასელ ვესტბრუკმა კი 19 ქულას 14 მოხსნა მოაყოლა.

**ვიტალი ჯაფარიძე**

ღირსეულნი

# ნაიჯელ ოუენსი: რაგბი სპორტის ყველაზე შესანიშნავი გუნდური სახეობაა

**უელსელი რეფერი ნაიჯელ ოუენსი ივნისში ორ ტესტ-მატჩს გაუძღვება, რითაც მისი ნამსაჯი მატჩების რაოდენობა 70 გახდება და გაუტოლდება რეკორდსმენს — სამხრეთაფრიკელ ჯონათან კაპლანს.**

მრავალწლიანი კარიერის განმავლობაში 44 წლის ნაიჯელმა, მისივე თქმით, მთლიანად შეისისხლხორცა სარაგბო ფასეულობები, მეტოქის პატივისცემა და ზოგადად რაგბის უნიკალურობა. walesonline-თან ინტერვიუში მან განაცხადა, რომ ღირსეული მორაგბის მაგალითად ავსტრალიის ეროვნული ნაკრებისა და „ბრამბისის“ ფლანკერი დევიდ პოკოკი მიაჩნია.



**ნაიჯელ ოუენსი:** „ჩემი კარიერიდან გამოვარჩევდი 2015 წლის მსოფლიო თასის ფინალს, რომელშიც ახალმა ზელანდიამ ავსტრალიის ეროვნული ნაკრები 34:17 დაამარცხა. საფინალო სასტვენის შემდეგ „ვოლაბების“ ფლანკერი დევიდ პოკოკი მომიახლოვდა და მითხრა: „ძალიან დიდი მადლობა შესანიშნავი მატჩისთვის“. წარმოიდგინეთ, მან ის-ის იყო მსოფლიო თასის ფინალი დათმო, დამარცხდა იმ წლის ყველაზე მნიშვნელოვან თამაშში, მაგრამ ღირსეულად შეხვდა წაგებას, როგორც ეს დიდ ადამიანებს სჩვევიათ. დევიდ პოკოკმა კიდევ ერთხელ დაგვანახა, რომ რაგბიში მნიშვნელობა არა აქვს შენს ეროვნებას, კანის ფერსა თუ მრწამსს, მთავარია, რამდენად სცემ პატივს მეტოქეს. სწორედ ამიტომ ვთვლი, რომ რაგბი სპორტის ყველაზე შესანიშნავი გუნდური სახეობაა“.

**მანუჩარ გიორგაძე**

ინტერნეტიდან

# ბატისტუტამ ოცნება აისრულა

**ლეგენდარულ არგენტინელ მეგოლეს გაბრიელ ომარ ბატისტუტას ჯერ კიდევ გაგანია საფეხბურთო კარიერის დროს არაერთხელ უთქვამს, რომ გემრიელად კვება მისი ჰობია და ყოველთვის ძალიან წუხდა, რომ ფეხბურთელის ცხოვრების რეჟიმი და მუდმივი სპორტული დიეტა ამ სიამოვნებას აკლებდა.**

ახლა, როდესაც საფეხბურთო კარიერა უკვე წარსულის ლამაზ მოგონებად დარჩა, ბატისტუტამ დიდი ხნის ოცნება აისრულა და ბუენოს აირესის ცენტრში მაღალი დონის იტალიური რესტორანი გახსნა. რესტორნის მენეჯერი გაბრიელის მეუღლე ირინა იქნება, თავად ფეხბურთელი კი დარწმუნებულია, რომ მისი ეს ბიზნესი აუცილებლად გაამართლებს.

რაც შეეხება კერძებს, ბატისტუტა ამბობს, რომ რესტორნის მენიუ მთლიანად მის გემოვნებაზეა მორგებული და იქ კლასიკური იტალიური კერძების გარდა, სხვა ქვეყნების სამზარეულოც იქნება წარმოდგენილი. სამწუხაროდ, დიდ არგენტინელ თავდამსხმელს, ალბათ, არ ეცოდინება ქართული სამზარეულოს გენიალურობა, თორემ არაფერი აჯობებდა იმის ნახვას, არგენტინელები ხინკალსა და ხაჭაპურს როგორ მადიანად იღმურძლებიან.

**როსტომ რაჭველიშვილი**



ფეხბურთი

# „იუვემ“ სერია A-ს ყველა დროის რეკორდი დაამყარა

**იტალიის ჩემპიონმა ტურინის „იუვენტუსმა“ სერია A-ს მორიგი რეკორდი დაამყარა. საქმე ისაა, რომ „ბებერმა ქალბატონმა“ ბოლო 23 ტურში 22 მატჩი მოიგო და შესაძლო 69 ქულიდან 67 მოიპოვა, ასეთი მაღალი მაჩვენებელი კი 23 თამაშში აქამდე არცერთ იტალიურ გუნდს არ ჰქონია.**



„იუვეს“ პოზიტიური სერია მე-11 ტურში დაიწყო, როდესაც ტურინულ დერბიში „ტორინოს“ ხუან კუადრადოს 93-ე წუთზე გატანილი გოლით მოუგო (2:1). მას შემდგომ „იუვემ“ ყველა თამაშის მოგება მოახერხა, გარდა ერთისა: 19 თებერვალს მასიმილიანო ალეგრის გუნდი „რენატო დალ არაზე“ „ბოლონიას“ (0:0) დაუზავდა.

სწორედ ამ ხანგრძლივი სერიის დამსახურებაა, რომ ახლა „იუვენტუსი“ სკუდეტოს მოგების მთავარი და თითქმის ერთადერთი კანდიდატია მაშინ, როცა ჯერ კიდევ 10 ტურის შემდეგ იგი მეორე ათეულში იყო მოკალათებული.

სხვათა შორის, იტალიელმა ჟურნალისტებმა საინტერესო სტატისტიკური მონაცემები დათვალეს, რომელიც „ბიანკონერისა“ და კლაუდიო მარკიზიოს უკავშირდება: „იუვე“ მარკიზიოსთან ერთად შეხვედრების 71%-ს იგებს, ხოლო როდესაც მოედანზე 30 წლის ნახევარმცველი არ იყო, მაშინ ტურინელებმა მხოლოდ მატჩების 47%-ის მოგება მოახერხეს. მოგეხსენებათ, მარკიზიო კვირას „პალერმოსთან“ მატჩში მძიმედ დაშავდა და თავის გუნდს 6 თვის განმავლობაში ვერ დაეხმარება.

**გიორგი შოთაძე**

# „მძარცველი“ ვალერი ბასილაია თავს დამნაშავედ არ ცნობს!

**ზუგდიდელი ადვოკატის გურამ ყუფუნიას განცხადებით, ასევე ზუგდიდელ ვალერი ბასილაიას, ვისი ინტერესების დამცველიც ის იყო, სრულიად უსამართლოდ მიუსაჯეს (ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში) 8 წლით თავისუფლების აღკვეთა.**

65 წლის ვალერი ბასილაიას ბრალად ედება 2015 წლის 16 მარტს ზუდგიდში, ჭყონდიდელის ქუჩაზე ორ დაუდგენელ პირთან ერთად, ძალადობით გული მალაზონიას ძარცვა, რა დროსაც მისგან გაიტაცეს ხელჩანთა (40 000 ლარის ოდენობის ფულადი თანხით). წინასწარი და სასამართლო გამოძიების დროს დაკითხული ბრალდებული ვალერი ბასილაია შერაცხულ ბრალდებაში თავს დამნაშავედ არ ცნობს და კატეგორიულად უარყოფს გული მალაზონიას ძარცვაში მონაწილეობას.

მოწმეების ჩვენებით მძარცველები მოძრაობდნენ „ვოლვოს“ მარკის ავტომანქანით,. ისინი შემდეგ გაურკვეველი მიმართულებით გაუჩინარდნენ. მოწმეების თქმით ავტომანქანის მძღოლს ჭაღარაშერეული თმა ჰქონდა. შემდგომში ამ ფიზიკური მონაცემებით მათ ამოიცნეს ვალერი ბასილაია, რომელსაც აქვს სრულიად თეთრი და არა ჭაღარაშერეული თმა.

ბრალდების მხარეს ვალერი ბასილაიას მიმართ ერთ-ერთ მტკიცებულებად წარმოდგენილი ჰქონდა ოდოროლოგიური ექსპერტიზის დასკვნა, რომლის მიხედვითაც დამნაშავეთა მიერ დანაშაულის ჩადენაში გამოყენებული „ვოლვოს“ მარკის ავტომანქნიდან აღებული სუნის ნიმუში იდენტური აღმოჩნდა ვალერი ბასილაისგან აღებული სუნის ნიმუშისა. საქმის მასალებით დადგენილია, რომ დამნაშავეებმა გული მალაზონიაზე თავდასხმის შემდეგ „ვოლვოს“ მარკის ავტომანქანა მიიყვანეს ლომთათიძის ქუჩაზე, დევნილთა დასახლების ეზოში, ცეცხლი წაუკიდეს და იქ დატოვეს. ეს დადასტურებულია საქმეში არსებული პოლიციელების ჩვენებით, სადაც პოლიციელები ითხოვდნენ სახანძროს დახმარებას. ხანძარი წყლის გამოყენებით ჩააქრეს და გაუგებარია, როგორ გახდა შესაძლებელი ამ ფაქტიდან 10 დღის გასვლის შემდეგ სველ, ნახანძრალ, თუ ავტომანქანიდან კონკრეტული პირის მიერ სუნის კვალის არსებობა. უფრო მეტიც, რატომღაც ექსპერტ-კრიმინალისტებს მანქანის სალონში ხანძრის კვალი არ შეუნიშნავთ. „საყურადღებოა, რომ ყველა გამომძიებელი და პოლიციის მუშაკი სასამართლოში დაკითხვის დროს შეეცადა, გვერდი აევლო ლომთათიძის ქუჩაზე აღმოჩენილ „ვოლვოში“ ხანძრის ფაქტის არსებობაზე. მით უფრო არაფერს ამბობდნენ ისინი გამოძახებული სახანძროს მანქანის მიერ ხანძრის ჩაქრობის ფაქტს, თუმცა, გამოძიების მიერ მოპოვებული და საქმეში არსებული მასალებით, აღნიშნული დადასტურებულია. ამასთანავე, ხანძრის აქტი საქმეს არ ერთვის, სავარაუდოდ, იმ მიზნით, რომ ასეთ მდგომარეობაში არსებული ავტომანქანიდან სუნის კვალის არსებობის დადასტურება ეჭვის ქვეშ არ დამდგარიყო“ – აცხადებს ადვოკატი გურამ ყუფუნია.

სამედიცინო ექსპერტების დასკვნით დადასტურებულია, რომ ვალერი ბასილაიას მნიშვნელოვნად აქვს დაქვეითებული მხედველობა და მუდმივად ხმარობდა სათვალეს, რომ მას სათვალის გარეშე მანქანის ტარება არ შეუძლია. მოწმეების ჩვენებებში კი ყველგან აღნიშნულია, რომ ავტომანქანას მართავდა ჭაღარაშერეული, კეხიანი ცხვირის მამაკაცი, რომელსაც სათვალე არ ეკეთა.

მიუხედავად ამდენი გამამართლებებლი ფაქტისა, ზუგდიდის რაიონული სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენი ძალაში დატოვა ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ. ადვოკატმა გურამ ყუფუნიამ ამჯერად საჩივარი შეიტანა საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

ვნახოთ, გამოუტანს თუ არა უზენაესი სასამართლო გამამართლებელ განაჩენს ვალერი ბასილაიას... წესით და ელემენტარული ლოგიკით, უნდა გამოუტანოს.

**ლადო ქირია,**
**ზუგდიდიდან**

**კიდევ ერთი უკანონო დაკავება-დაპატიმრება თუ...**



**აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ინტელიგენციის ღირსეული წარმომადგენელი, აფხაზეთის სახელმწიფო კაპელის დამაარსებელი და სამხატვრო ხელმძღვანელი, გ. შერვაშიძის სახელობის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, ღვაწლმოსილი ხელოვანი, საქართველოსა და აფხაზეთის კულტურის დამსახურებული მუშაკი, მრავალი საერთაშორისო კონკურსის გამარჯვებული**

**გურამ ყურაშვილი**

**და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.**

## ბოროტმოქმედებმა საცხოვრებელი სახლი გადაწვეს

**ხანძარი პანკისის ხეობის სოფელ დუისში. დამწვარია ომარ ქავთარაშვილის საცხოვრებელი სახლი. შედეგად არავინ დაშავებულა, რადგან შემთხვევის დროს ოჯახის წევრები სახლში არ იმყოფებოდნენ. ქავთარაშვილები უკვე რამდენიმე თვეა, გროზნოში სამუშაოდ იმყოფებიან. ადგილობრივები ამბობენ, რომ ორი დღის წინ ქავთარაშვილების სახლის დაწვა ამ დრომდე დაუდგენელმა პირებმა სცადეს, თუმცა, მაშინ მეზობლებმა ხანძრის დროული ლოკალიზება შეძლეს.ერთ-ერთ ვერსიას, რომ შესაძლოა ცეცხლის გაჩენა შურისძიებას უკავშირდებოდეს, ხეობაში არ ადასტურებენ. ხანძრის გამომწვევი მიზეზების დადგენაზე გამოძიება მუშაობს.**

## ხანძარი ლილოში



**ლილოში ხანძრის შედეგად არიან დაშავებულები. შსს-ს საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს თბილისის სამმართველოს უფროსის მოადგილის ინფორმაციით, ერთ-ერთი მათგანი მეხანძრეა, ხოლო მეორე – ობიექტის დაცვის თანამშრომელი. სულ ძლიერი ხანძრის შედეგად ლილოში 450 კვადრატული მეტრის ფართი დაიწვა. ცეცხლი სასაწყობო მეურნეობას გუშინ გამთენიისას გაუჩნდა, სადაც სხვადასხვა საყოფაცხოვრებო დანიშნულების ნივთები იყო განთავსებული. ცეცხლის ჩასაქრობად ადგილზე 12 ერთეული ტექნიკა იყო მობილიზებული. რაც შეეხება ხანძრის გამომწვევ მიზეზს, ჯერჯერობით ეს უცნობია. დაზარალებულების განცხადებით, იმ დროისთვის შენობაში არავინ უნდა ყოფილიყო. როგორც ისინი ამბობენ, ზარალი ნახევარ მილიონ ლარამდეა.**

**სათრევლები**

## უჩვეულო ბალანსი

**მტერს მიტომ გაუხარია,**
**მოყვარეს თვალზე ბისტი აქვს,**
**რომ ყველა პატიმარია,**
**და ყველა იურისტია!**

## სხვისი დაკრული

**ხან რუსეთს ვუხდით ხარკს,**
**ხან ამერიკას – ვალს,**
**„ქართულზე“ ვამბობთ „ვარს“,**
**ვცეკვავთ „ტანგოს“ და „ვალსს“.**

## მტკივნეული საფიქრალი

**რადგან ვერ ვძლიეთ წყვდიადს აქამდე,**
**ვნატრობ, კაცურ კაცს ხელი აქავდეს,**
**თორემ სადავოდ უკვე გახადეს,**
**კახაბერი რომ ჰგავდეს კახაბერს!**

**ალექსანდრე შენგელია**

**დიდხანს იცოცხლეთ!**

# ახალგაზრდობის სამი საიდუმლო

**იმისათვის, რომ დიდხანს ვიცოცხლოთ, საჭიროა ცხოვრების ჯანსაღი წესის დაცვა და კარგი მემკვიდრეობის ქონა. თუმცა, არსებობს ახალგაზრდობის გაგრძელების სხვა ხერხებიც.**

### ერიდეთ უსიამოვნებებს

ხშირი ოჯახური უთანხმოებები მოულოდნელი სიკვდილის ალბათობას ორჯერ, ბავშვებთან ჩხუბი ამ რისკს 50 პროცენტით, ხოლო მეზობლებთან გაუთავებელი დავიდარაბა სამარეში ნაადრევად ჩასვლის ალბათობას კი 25 პროცენტით ზრდის.

კონფლიქტის დროს მასში მონაწილეთა პულსი წუთში 100 დარტყმამდე იზრდება, მატულობს არტერიული წნევა. თანაც, მამაკაცებში ეს გამოხატულებები უფრო მკაფიოო ხასიათისაა და გაცილებით მეტხანს გრძელდება, ვიდრე ქალებში. ამასთან, ჩხუბი ასევე ცუდად აისახება იმუნურ სისტემაზე. მეცნიერები გვაფრთხილებენ: **დიდი ჩხუბის შემდეგ იმუნიტეტის დაქვეითება 24 საათის მანძილზე ნარჩუნდება.**

**მაგრამ:** არ ღირს უსიამოვნებისთვის თავის არიდება ნებისმიერი ხერხით. დაფარული უკმაყოფილება დეპრესიისა და გულის დაავადების რისკს ოთხჯერ ზრდის, ამდენად ურთიერთობათა გარკვევა ზოგჯერ აუცილებელიც კია.

### დაოჯახდით!

მეცნიერთა მრავალრიცხოვანი გამოკვლევების შედეგად დადგინდა, რომ **დაოჯახებული მამაკაცები ბერბიჭებზე 7 წლით მეტხანს ცოცხლობენ.** დღეგრძელობის საიდუმლო ქალის მზრუნველობაშია, რის შედეგად ცოლიანი მამაკაცები უკეთ იკვებებიან, ექიმებს დროულად სტუმრობენ და სტრესებსაც უკეთ იტანენ.



ქალებისთვის კი ოჯახურ ცხოვრებას ასეთი სიკეთე არ მოაქვს: **მარტოხელა და ქმარს გაცილებული ქალბატონები გათხოვილებზე ნაკლებს არ ცოცხლობენ.** თუმცა, ისიც კია, რომ ქმრის ყოლა ქალს უფრო ბედნიერს ჰქმნის. ამერიკელმა მეცნიერებმა ქალბატონებს თავიანთი ოჯახური მდგომარეობის შესახებ მოყოლა და ცხოვრების დონით კმაყოფილების შეფასება სთხოვეს. აღმოჩნდა, **დაოჯახებულ ქალთა შორის ოპტიმისტები ორჯერ უფრო მეტია, ვიდრე მარტოხელა ქალბატონებში.**

**მაგრამ:** დიდხანს სიცოცხლეს ყველა ქორწინება ერთნაირად სულაც არ უწყობს ხელს. **ახალგაზრდა ცოლების მყოლი მამაკაცები იმათზე უფრო მეტს ცოცხლობენ, ვისაც ცოლად შერთული თანატოლი, ანდა თავისზე უფროსი ქალი ჰყავს. ცოლ-ქმრის ასაკს შორის საუკეთესო სხვაობად მეცნიერებს „ქმრის სასარგებლოდ“ 7-9 წელი მიაჩნიათ.** არათანაბარ ქორწინებაში მყოფ ქალბატონებს ამ ჯერზეც უმართლებთ – ისინი იმათზე გაცილებით ნაკლებს ცოცხლობენ, ვინც თანატოლზე გათხოვილები არიან, თანაც მნიშვნელობა არა აქვს წყვილში ქმარია უფროსი თუ ცოლი. ყველა შემთხვევაში ასეთ ქორწინებაში ქალები საშუალოდ 3 წლით ნაკლებს ცოცხლობენ.

**სიბერის გადავადების რამდენიმე ხერხი**

**● 5 წლით მეტხანს ცოცხლობენ ისინი, ვინც თავიანთ პარტნიორს ყოველ დილით კოცნის იმათთან შედარებით, ვინც ამას არ აკეთებს.**

**● კიდევ ხუთი წლით უხანგრძლივებს სიცოცხლეს ორივე სქესის წარმომადგენელს სიყვარული. მამაკაცები კი, რომლებიც ცოლებს უყვართ, ცოლებთან პრობლემების მქონე თანატოლებთან შედარებით, სანახევროდ ნაკლებად ავადდებიან ანგინით და გულის შეტევის საფრთხეც ორჯერ მცირე აქვთ.**

### იმეგობრეთ!

აღმოჩნდა, რომ ნაცნობთა ფართო წრე სიცოცხლის რამდენიმე წელს გვმატებს, ამასთან, ნათესავებთან მჭიდრო კავშირები მის ხანგრძლივობაზე არანაირად არ აისახება. მაინც რატომაა, რომ მეგობრები სიცოცხლის გახანგრძლივებაში გვიწყობენ ხელს? მეცნიერთა აზრით, **მეგობრები დეპრესიაში ჩავარდნის შესაძლებლობას არ გვაძლევენ და საკუთარი თავის შეფასებას გვიმაღლებენ.**

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მეგობრების სამსახურში გაჩენა. ამერიკელ მეცნიერთა მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ მათ, ვინც კოლეგებთან არ ურთიერთობს, უახლოეს 20 წელიწადში, იმ თანატოლებთან შედარებით, ვისაც მეგობრები სამსახურშიც ჰყავთ, სიკვდილის ალბათობა 2,5-ჯერ უფრო მეტი აქვთ.

**მაგრამ:** უნდა იცოდეთ მეგობრების შერჩევა! ფსიქოლოგები გვაფრთხილებენ: **შეძლებულ ხალხთან მეგობრობა გულის შეტევების რისკს ზრდის,** რასაც სიმდიდრის ცქერით გამოწვეული გამუდმებული სტრესი იწვევს. **არც ჭარბი წონის მქონე ხალხთან ღირს მეგობრობა** – იმათ, ვისაც ჭარბწონიანი მეგობრები ჰყავთ, თავადაც გასუქების რისკი 60 პროცენტით ეზრდებათ.

**ნინო ალექსანდრია**

## სტუდენტთა საყურადღებოდ!

# ფინანსთა სამინისტრო კონკურსს აცხადებს

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო აცხადებს კონკურსს საუკეთესო სტატიის შესარჩევად თემაზე:

„საქართველოს პირველ რესპუბლიკაში განხორციელებული ეკონომიკური რეფორმები და პოლიტიკა“.

კონკურსი იმართება საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ფარგლებში.

გამარჯვებული ნაშრომის ავტორი გამოვლინდება 20 მაისს.

საუკეთესო 10 სტატია დაიბეჭდება კრებულის სახით.

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებს.

სტატიების გამოგზავნის ბოლო ვადაა 2016 წლის 10 მაისი.

გთხოვთ, საკონკურსო მასალები გამოაგზავნოთ სსიპ-ფინანსთა სამინისტროს აკადემიაში:

ელექტრონული ფოსტა:
academy@mof.ge
მისამართი: ქ. თბილისი, გორგასლის ქ. №10
ტელეფონი: 2261026
სტატიის მომზადების პირობები:
ფონტი: sylfaen
ფონტის ზომა: 11
გვერდების რაოდენობა: მაქსიმუმ 6
დაინტერესებულმა პირებმა, ნაშრომთან ერთად უნდა წარმოადგინონ:
სტუდენტის ბარათის ასლი
ტელეფონის ნომერი
ელექტრონული ფოსტის მისამართი

## ◉ კაკალ გულში

# ჟორნალისტების თერაპიის პროგრამა



● ხალხო, დაანებეთ ამ მაიკო ასათიანს თავი. ადამიანს აქვს სერიოზული ფსიქოლოგიური პრობლემები, რასაც ნებისმიერი ექიმი დაგიდასტურებთ. ან ექიმი რად გინდათ: აღგზნებული საუბარი, დგომის აგრესიული მანერა, ხელების ნერვიული მოძრაობები, თემები, რომლებიც მისი გონებისთვის აქტუალურია და მათ გარშემო არაადეკვატური მსჯელობა და ა.შ.

სავარაუდოდ, ქართულმა „წამყვანმა“ ტელეკომპანიებმა მსგავსი პრობლემების მქონე ჟორნალისტების თერაპიის პროგრამა შეიმუშავეს...

● გინდა ისე იფიქრეთ, გინდა ასე!

მე პირადად გიორგი კვირიკაშვილს კარგ ადამინად მივიჩნევ იმ თვისებებიდან და იმ ქმედებებიდან გამომდინარე, რაც ამ პერიოდში დავინახე!

ახლა ის ქუქუნდარა-ცუნდარები მოიშოროს და მართლა დაიწყება ამ ქვეყნის შენება!

მე პირადად რიგით მშენებლად მივდივარ!!!

● რადგანაც NATO-ს ვარშავის სამიტი სტადიონზე იმართება, ხვალიდან, დინამო არენაზე დაიწყება ნატოსკენ მსწრაფველთა საწვრთნელი შეკრება, — ე. წ. „სბორები“.

დასწრება თავისუფალია, თუმცა სავალდებულო!

წვრთნების ბოლოს, ყველაზე მისწრაფებულები დაჯილდოვდებიან NATO-ს ჩაფხუტებით და კიდევ სხვადასხვა ფხუტებით.

● ჩვენისთანა monkeyერი, არის განა სადმე ერი?

● ვაი და ტოპ პორნოები აუთენტური არ გამოდგეს, ხომ მოგვეჭრა თავი ელტონ ჯონთან?

● პოლიტიკური პარტია მინდა შევქმნა და თქვენი აზრი მაინტერესებს.

ხილ-ბოსტან-წიწვოვანი სახელწოდებებია მოდაში. „გირჩი“ დაკავებულია უკვე.

ახლა ვზივარ და ვფიქრობ, რა დავარქვა — „ზღმარტლი“ თუ „მუშმალა“.

დამეხმარეთ, თქვენი ლამაზი თვალების ჭირიმე.

ამოკრიბა
**გია გაბრიჭიძე**

რეკლამა
293-37-87
მაჩაბლის ქ. №7.

# ფისუნია კატაო, ასე რამ დაგხატაო?..



**უკლებლივ ყველა სოციალური ქსელი სავსეა კატების ათასნაირი ფოტოებით, სახალისო ვიდეორგოლებით, რომლებსაც ყოველდღიურად ათიათასობით მომხმარებელი ნახულობს. ცოტა ხნის წინათ კი ლატვიის ეროვნულმა ბანკმაც კატისგამოსახულებიანი მონეტა მოჭრა. მაინც რატომაა, რომ პოპულარობითა და სიყვარულით კატები, სხვა ცხოველებზეც რომ არაფერი ვთქვათ, ძაღლებსაც კი უსწრებენ?**

ამასთან დაკავშირებით ფსიქოლოგები რამდენიმე განმარტებას იძლევიან. კერძოდ, მეცნიერებს მიაჩნიათ, რომ მამაკაცები კატაში, უპირველესად, ქალის სახეობას ხედავენ, ქალები — ბავშვისას. ფსიქოემოციურ დონეზე კი ადამიანი კატებს თავის ტოლ, ბევრ რაღაცაში საკუთარი თავის მსგავს არსებებს ხედავს, განსხვავებით ძაღლებისგან, რომლებსაც მრგვალი და არა წინ წამოწეული დრუნჩი აქვთ.

ხაზს უსვამენ იმ გარემოებასაც, რომ სოციალურ ქსელებში, ისევე, როგორც ოჯახებში, კატების დიდი რიცხოვნობა საზოგადოებაში განგაშის უაღრესად გაზრდილი შეგრძნებითაა განპირობებული. გამუდმებული პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური დაძაბულობის, მოძალებული ტერორიზმის პირობებში ყველა სითბოსა და სიმყუდროვესაა მონატრებული. ამის შეგრძნების მოცემა კი როგორც კომპიუტერის ეკრანზე გამოსახულ კატას, ასევე მუხლებში მოკალათებულ ტკბილად მოკრუტუნე ფისოს, ადამიანისთვის გონების ყოველგვარი დაძაბვის გარეშე შეუძლია.

# ამერიკის „ბრიტანეთი“



**კანადის ერთ-ერთ პროვინციას საკმაოდ უჩვეულო სახელწოდება —„ბრიტანეთის კოლუმბია“ აქვს.**

თურმე, „ბრიტანული“ მას იმიტომ ჰქვია, რომ თავის დროზე ჩრდილოეთ ამერიკაში დიდი ბრიტანეთის სამფლობელოს წარმოადგენდა. სახელი „კოლუმბია“ კი ამავე სახელწოდების ოლქისგან შეიძინა, რომელიც აქ მე-19 საუკუნის შუა ხანებში იყო, მას კი, თავის მხრივ, ის ადგილობრივი მდინარის სახელისგან „ერგო“.

1866 წელს ბრიტანეთის კოლუმბია კუნძულ ვანკუვერთან გააერთიანეს, ხოლო კანადის კონფედერაციაში ორივე ტერიტორია 1871 წელს შევიდა.

## ◉ კარიკატურისტის თვალით



— გესმის, ქა, უნდა დამნებდეო?..

**ამირან ერაძის ნახატი.**

## ◉ ცინცხალი ანეკდოტები

**საზრიანი** მარო ეუბნება დაქალს:

— იცი რა მოვიგონე? ჩემი ძველი, გაქუცული კურდღლის ქურქი გავპარსეი და ზამშის პალტო გამამივიდა, ქა!..

* * *

**საქორწინო** სააგენტოში მისული ქალბატონი მენეჯერს უყვება როგორი ქმრის ყოლა სურს:

— იგი ზრდილი უნდა იყოს, მრავალმხრივი ინტერესების მქონე, უყვარდეს ცხოველები, მუდამ ანეკდოტებს და ახალ ამბებს მიყვებოდეს, საერთაშორისო ვითარებაშიც უნდა ერკვეოდეს და, რაც მთავარია, არასდროს მაწყვეტინებდეს!

— თქვენ პატივცემულო, ქმარი კი არა, ტელევიზორი გდომებიათ!

* * *

**ეპიტაფია** საფლავზე:



„აქ განისვენებს გიორგი ლ., რომელმაც ორ ცოლთან ერთად 35 წელი იცხოვრა და მოკვდა იმ რწმენით, რომ წინ უკეთესი ცოლები ელის“.

**მიხო** ექიმთან მიდის და თავისი გასაჭირის ამბავს უყვება:

— იცით, ექიმო, რასაც უწინ შინ ვაკეთებდი, ახლა ხელს ველარაფერს ვერ ვკიდებ და საქმესაც გულს ვერ ვუდებ. გამაგებინეთ, გენაცვალე, რაშია საქმე, რა მჭირს, ოღონდ უბრალო ენით მითხარით.

ექიმი მას გასინჯავს და „დიაგნოზს“ უსვამს:

— მარტივად რომ აგიხსნათ, თქვენა საშინელი ზარმაცი ხართ.

— ჰო-ო... აი, ახლა კი ეგ ამბავი მეცნიერულად მითხარით, ჩემ ცოლ მაშოს უნდა მოვუყვე!..

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
მაჩაბლის ქ. №7
ინდექსი 66434

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოზულია
293-37-87
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
რუსლან რუსია
599 17-21-21;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გამოიწერეთ:
6 თვით — 60 ლარი,
1 წლით — 120 ლარი.
მიმართეთ: „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია – 2 93 37 87; 599 79 76 79; „მაცნე“ – 2143906; „ელვასერვისი“ – 2 388 012; „პლანეტა-ფორტე“ – 2 988 990; „პრესა-2012“ – 2341140; „ოლიმპი“ – 599 15 19 69; „პრესა+“ – 551555444; „ჯეომედია“ – 593 977 888.
ჩვენი მისამართია:
ქ. თბილისი, ი. მაჩაბლის 7.
ხელმოწერის ინდექსი
66434

**უცხოური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 2.252; ევრო - 2.535;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.185;
100 რუბლი - 3.403; თურქული ლირა - 0.788;
აზერბაიჯანული მანათი - 1.480;
1000 სომხური დრამი - 5.658

**ამინდი 20 აპრილისთვის**

| | | |
|---|---|---|
| აღმოსავლეთი საქართველო: | | |
| ბარი - | ღამე +7, | დღე +22 |
| მთიანი რაიონები - | ღამე +3, | დღე +19 |
| დასავლეთი საქართველო: | | |
| ბარი - | ღამე +9, | დღე +17 |
| მთიანი რაიონები - | ღამე +4, | დღე +14 |
| თბილისი: | ღამე +11, | დღე +21 |

ჩვენი მისამართია:
თბილისი, მაჩაბლის ქ. №7
ტელ: 293-37-87, 599-79-76-79
WWW.SAKRESP.GE